საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ია რამიშვილი

გაწრფივებული მაქსიმუმის პრინციპი კვაზი-წრფივი ნეიტრალური ტიპის ოპტიმალური ამოცანებისათვის არაფიქსირებული საწყისი მომენტით

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

01.01.02–დიფერენციალური განტოლებები

სამეცნიერო ხელმძღვანელები: გ. ხარატიშვილი
აკდემიკოსი, ფიზ.-მათ. მეც. დოქტორი პროფესორი
თ. თადუმაძე ფიზ.-მათ. მეც. დოქტორი, პროფესორი

თბილისი-2004

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 4

თ ა ვ ი. 1. ამონახსნის ვარიაციის ფორმულები კვაზი-წრფივი ნეიტრალური ტიპის სამართი დიფერენციალური განტოლებებისათვის წყვეტილი და უწყვეტი საწყისი პირობით 7

§1.1. ზოგიერთი აღნიშვნა და დამხმარე დებულება 7

§1.2. ამონახსნის ვარიაციის ფორმულები განტოლებისათვის წყვეტილი საწყისი პირობით 14

1.2.1. ძირითადი თეორემების ფორმულირება 14

1.2.2. ზოგიერთი კომენტარი 17

§1.3. ამონახსნის ნაზრდის შეფასება V^- და V^+ ვარაციათა სიმრავლის მიმართ 19

§1.4. თეორემა 1.2.1 დამტკიცება 28

§1.5. თეორემა 1.2.2 დამტკიცება 35

§1.6. ამონახსნის ვარიაციის ფორმულები განტოლებისათვის უწყვეტი საწყისი პირობით. 42

1.6.1. ძირითადი თეორემების ფორმულირება 42

1.6.2. ზოგიერთი კომენტარი 44

§1.7. ამონახსნის ნაზრდის შეფასება V_1^- და V_1^+ ვარაციათა სიმრავლეების მიმართ 45

§1.8. თეორემა 1.6.1 დამტკიცება 53

§1.9. თეორემა 1.6.2 დამტკიცება 56

თ ა ვ ი. 2. კვაზი-წრფივი ნეიტრალური ტიპის ოპტიმალური ამოცანები წყვეტილი და უწყვეტი საწყისი პირობით. ოპტიმალურობის აუცილებელი პირობები 58

§2.1. დამხმარე დებულებები 58

§2.2. ოპტიმალური ამოცანები წყვეტილი საწყისი პირობით 62

2.2.1 ამოცანა ზოგადი სასაზღვრო პირობებით და ფუნქციონალით 62

2.2.2 ამოცანა დამაგრებული ბოლოებით და ინტეგრალური ფუნქციონალით 69

2.2.3 წრფივი ამოცანა 73

§2.3. ოპტიმალური ამოცანები უწყვეტი საწყისი პირობით 76

2.3.1 ამოცანა ზოგადი სასაზღვრო პირობებით და ფუნქციონალით 76

2.3.2 ამოცანა დამაგრებული მარჯვენა ბოლოთი და ინტეგრალური ფუნქციონალით 78

2.3.3 წრფივი ამოცანა 80

§2.4. თეორემა 2.2..1 დამტკიცება 81

§2.5. თეორემა 2.3..1 დამტკიცება 87

§2.6. ეკონომიკური ზრდის ნეიტრალური ტიპის ოპტიმალური ამოცანა 89

ლიტერატურა 93

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ოპტიმალური მართვის ამოცანას სამართი ობიექტებისთვის, რომლებიც აღიწერება ნეიტრალური ტიპის ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებებით, ეწოდება ნეიტრალური ტიპის ოპტიმალური ამოცანა. ასეთი განტოლებებით აღიწერება მრავალი ტექნიკური, ეკონომიკური და სხვა სახის სამართი სისტემები, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას წარსულში როგორც სისტემის მდგომარეობის ასევე მდგომარეობის ცვლილების შესახებ [1–4].

ნეიტრალური ტიპის ოპტიმალური ამოცანების შესწავლას სტიმული მისცა გ. ხარატიშვილის გამოკვლევამ [5], სადაც პონტრიაგინის მაქსიმუმის პრინციპის ანალოგი [6] პირველად დამტკიცებულია ფაზურ კოორდინატებში მუდმივი დაგვიანების შემცველი ოპტიმალური ამოცანებისათვის.

ოპტიმალურობის აუცილებელი პირობების თვალსაზრისით, სხადასხვა კლასის ნეიტრალური ტიპის ოპტიმალური ამოცანები ფიქსირებული საწყისი მომენტითა და მართვებში დაგვიანების გარეშე, შესწავლილია [7–20] ნაშრომებში; ამოცანები, მართვებში თანაზომადი დაგვიანებებით, შესწავლილია [21] ნაშრომში; ამოცანები წყვეტილი საწყისი პირობით და მართვებში დაგვიანებების გარეშე შესწავლილია [3], [22] ნაშრომებში. აქვე ავღნიშნავთ, რომ არაწრფივი ნეიტრალური ტიპის ოპტიმალური ამოცანებისათვის, საზოგადოდ, პონტრიაგინის მაქსიმუმის პრინციპის ანალოგს ადგილი არა აქვს.

სადისერტაციო ნაშრომში, გამოკვლეულია კვაზი-წრფივი (ტრაექტორიის წარმოებულის წინაისტორიის მიმართ წრფივი) ნეიტრალური ტიპის ოპტიმალური ამოცანები არაფიქსირებული საწყისი მომენტით, წყვეტილი და უწყვეტი საწყისი პირობით, ზოგადი ცვლადი დაგვიანებებით როგორც ფაზურ კოორდინატებსა და მის წარმოებულებში, ასევე მართვებში. აღნიშნული ამოცანებისათვის, ვარიაციის ფორმულებზე დაყრდნობით, მიღებულია ოპტიმალურობის აუცილებელი პირობები.

ოპტიმალური ამოცანები დაგვიანებებით ფაზურ კოორდინატებსა და მართვებში შესწავლილია [23−34] ნაშრომებში.

ნაშრომი შედგება ორი თავისაგან, და იგი აერთიანებს 15 პარაგრაფს.

პირველი თავი ეხება ამონახსნის ვარიაციის ფორმულებს. ვარიაციის ფორმულა ეწოდება ამონახსნის ვარიაციის წარმოდგენას, წრფივად, საწყისი მონაცემებისა და განტოლების მარჯვენა მხარის შეშფოთებების (ვარიაციის) მიმართ.

ვარიაციის ფორმულები არსებით როლს თამაშობს ოპტიმალურობის აუცილებე ლი პირობების დამტკიცებისას [25,27,32,37].

§1.2 და §1.6-ში მოყვანილი თეორემები ეხება ამონახსნის ვარიაციის ფორმუ ლებს კვაზი-წრფივი სამართი ნეიტრალური ტიპის დიფერენციალური განტოლებისა თვის, შესაბამისად, წყვეტილი და უწყვეტი საწყისი პირობით. განხილულია შემთხვევ ები, როცა ხდება საწყისი მომენტის ვარიაცია მარცხნიდან, მარჯვნიდან და ორივე მხრიდან. აღნიშნული თეორემების დამტკიცება განხორციელებულია [38]-ში დამუშავე ბული სქემით (§§ 1.4, 1.5, 1.7, 1.8). §§ 1.3, 1.4-ში დადგენილია ამონახსნის ნაზრდის შეფასება და საწყისი მომენტში მისი ანალიზური სახე. ყოველივე ეს გამოიყენება ძირითადი თეორემების დასამტკიცებლად.

ვარიაციის ფორმულები, კვაზი-წრფივი ნეიტრალური ტიპის დიფერენციალური განტოლებისათვის წყვეტილი საწყისი პირობით, როცა მარჯვენა მხარე არ არის დამ ოკიდებული მართვაზე, მიღებულია [3,39] ნაშრომებში.

მე-2 თავში, შესწავლილია ოპტიმალური ამოცანები არაფიქსირებული საწყისი მომენტით, ზოგადი ცვლადი დაგვიანებებით, ზოგადი სასაზღვრო პირობებით და ფუნქ ციონალით. §2.2 და §2.3-ში მოყვანილი თეორემები შეიცავენ ოპტიმალურობის აუცი ლებელ პირობებს გაწრფივებული ინტეგრალური მაქსიმუმის პრინციპის სახით საწყი სი ფუნქციისა და მართვისათვის, უტოლობებისა და ტოლობების სახით საწყისი და საბოლოო მომენტებისათვის. ძირითადი თეორემები დამტკიცებულია [40]-ში შემოთავა ზებული მეთოდით (§§ 2.3, 2.4). ოპტიმალურობის ზოგადი აუცილებელი პირობები დაკონკრეტებულია ამოცანებისათვის ინტეგრალური ფუნქციონალითა და დამაგრებული ბოლოებით, წრფივი ამოცანებისათვის, სწრაფქმედების ამოცანებისათვის (2.2.2, 2.2.3, 2.3.2, 2.3.3).

ბოლოო §2.6-ში განხილულია ეკონომიკური ზრდის მათემატიკური მოდელი [41], დასმულია სწრაფქმედების ნეიტრალური ტიპის ოპტიმალური ამოცანა არაფიქსირებული საწყისი მომენტით, წყვეტილი და უწყვეტი საწყისი პირობით, მუდმივი დაგვიანებებით როგორც ფაზურ კოორდინატებსა და მის წარმოებულებში, ასევე მართვებში. თეორემა 2.2.13 და 2.3.8 გამოყენებით დადგენილია ოპტიმალური მართვის სტრუქტურა, მიღებულია საწყისი და საბოლოო მომენტების ოპტიმალურობის აუცილებელი პირობები.

დისერტაციის ძირითადი შედეგები მოხსენებული იყო: თსუ ი. ვეკუას სახ. გმი ჩვეულებრივ და კერძოწარმოებულებიან დიფერენციალურ განტოლებათა და მართვის თეორიის განყოფილების სემინარზე (2002-2004); ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის თბილისის სემინარზე დიფერენციალური განტოლებების თვისებრივ თეორიაში (2003); საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის კათედრის სემინარზე (2003); ვ. კუპრაძის 100 წლისთავისადმი და ნ.ვეკუას 90 წლისთავისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმზე დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში (2003).

დისერტაციის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია ნაშრომებში [42-47].

თავი 1. ამონახსნის ვარიაციის ფორმულები კვაზი-წრფივი ნეიტრალური ტიპის სამართი დიფრენციალური განტოლებებისათვის წყვეტილი და უწყვეტი საწყისი პირობით

ამონახსნის ვარიაცია ეწოდება ამონახსნის ნაზრდის მთავარ ნაწილში შემავალ, საწყის მონაცემებისა და განტოლების მარჯვენა მხარის ვარიაციებზე დამოკიდებულ წევრს. ვარიაციის ფორმულა ეწოდება ამონახსნის ვარიაციის წარმოდგენას, წრფივად აღნიშნული ვარიაციების მიმართ.

ვარიაციის ფორმულები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ოპტიმალური ამოცანების შესწავლისას. მათი დახმარებით შესაძლებელია გამოთვლილი იქნას გარკვეული გადასახ ვის დიფერენციალი, რომელიც თავის მხრივ საშუალებას იძლევა მიღებული იქნას ოპტიმალურობის აუცილებელი პირობები.

ვარიაციის ფორმულები, ამ თავში, დამტკიცებულია ორი შემთხვევისათვის. პირველი-საწყის მომენტში საწყისი ფუნქციისა და ტრაექტორიის მნიშვნელობები, საზოგადოდ, არ ემთხვევა ერთმანეთს (წყვეტილი საწყისი პირობა). მეორე-საწყის მომე ნტში საწყისი ფუნქციისა და ტრაექტორიის მნიშვნელობები ყოველთვის ემთხვევა ერთმა ნეთს (უწყვეტი საწყისი პირობა). როგორც შემდეგ დავინახავთ, ეს შემთხვევები არსები თად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

§1.1 ზოგიერთი აღნიშვნა და დამხმარე დებულება

R^n აღნიშნავს

$$x = \begin{pmatrix} x^1 \\ \vdots \\ x^n \end{pmatrix}$$

წერტილთა (ვექტორთა, ელემენტთა) n-განზომილებიან სივრცეს, სადაც x ვექტორის მოდულის ქვეშ იგულისხმება ევკლიდეს მოდული. ე. ი. $|x|^2=\sum_{i=1}^{n}\left(x^i\right)^2$. ვექტორთა

$$\pi=(\pi_1,\ldots,\pi_n), \qquad x=\begin{pmatrix}x^1\\ \vdots\\ x^n\end{pmatrix}$$

სკალარულ ნამრავლს ჩვენ განვიხილავთ, როგორც $1\times n$ და $n\times 1$ განზომილებიან მატრიცთა ნამრავლს. ე. ი.

$$\pi x=(\pi_1,\ldots,\pi_n)\begin{pmatrix}x^1\\ \vdots\\ x^n\end{pmatrix}=\sum_{i=1}^{n}\pi_i x^i.$$

ამრიგად,

$$|x|^2=x^*x,$$

სადაც ვარსკვლავი აღნიშნავს ტრანსპონირებას.

$J=[a,b]\subset R$-სასრული ინტერვალია; $O\subset R^n$, $G\subset R^r$-ღია სიმრავლეებია.

$\tau_i(t)$, $t\in R$, $i=1,\ldots,s$ (დაგვიანებები ფაზურ კოორდინატებში)-აბსოლუტურად უწყვეტი სკალარული ფუნქციებია და აკმაყოფილებენ პირობებს: $\tau_i(t)\le t$, $t\in R$, $i=1,\ldots,s$; $\dot\tau_i(t)>0$, $i=1,\ldots,s$, თითქმის ყველა $t\in R$.

$\eta_j(t)<t$, $t\in R$, $j=1,\ldots,k$ (დაგვიანებები ფაზურ კოორდინატების წარმოებულებში)-უწყვეტად წარმოებადი სკალარული ფუნქციებია და აკმაყოფილებენ პირობებს: $\eta_j(t)<t$, $\dot\eta_j(t)>0$, $t\in R$, $j=1,\ldots,k$.

$\theta_j(t)$, $t\in R$, $j=1,\ldots,\nu$ (დაგვიანებები მართვებში)-აკმაყოფილებენ ყველა იმ პირობებს, რომლებსაც აკმაყოფილებდა ფუნქცია $\tau_i(t)$.

E_φ-უწყვეტად წარმოებად $\varphi:J_1=[\tau,b]\to R^n$ ფუნქციათა სივრცეა, $\tau=\min(\tau_1(a),\ldots,$

$\tau_\nu(a),\eta_1(a),...,\eta_k(a))$, ნორმით $\|\varphi\|=\sup\{|\varphi(t)|+|\dot{\varphi}(t)|:t\in J_1\}$. $\Phi=\Phi(J_1,O)=\{\varphi\in E_\varphi:$ $:\varphi(t)\in O\}$ -საწყის ფუნქციათა სიმრავლეა.

E_u-ლებეგის აზრით ზომად $u:J_2=[\theta,b]\to R^r$ ფუნქციათა სივრცეა, რომლებიც აკმაყოფილებენ პირობას $clu(J_2)$ სიმრავლე კომპაქტურია R^r-ში; $\theta=\min(\theta_1(a),...,\theta_\nu(a))$, $u(J_2)=\{u(t):t\in J_2\}$; $cl(M)$-აღნიშნავს M სიმრავლის ჩაკეტვას; $\|u\|=\sup\{|u(t)|:t\in J_2\}$. $\Omega=\Omega(J_2,G)=\{u\in E_u:clu(J_2)\subset G\}$ -მართვათა სიმრავლეა.

$L(J,R_+)$- ლებეგის აზრით ჯამად (ინტეგრებად) $m:J\to R_+=[0,\infty)$ ფუნქციათა სივ რცეა,

$A_j(t)$, $t\in J$, $j=1,...,k$ - უწყვეტი მატრიცული ფუნქციებია განზომილებით $n\times n$;

$f(t,x_1,...,x_s,u_1,...,u_\nu)$- n განზომილებიანი ვექტორული ფუნქციაა. იგი აკმაყოფი ლებს შემდეგ პირობებს:

თითქმის ყველა $t\in J$ ფუნქცია $f:O^s\times G^\nu\to R^\nu$ უწყვეტად წარმოებადია $x_i\in O$, $i=1,...,s$, $u_j\in G$, $j=1,...,\nu$ ცვლადების მიმართ; ყოველი ფიქსირებული $(x_1,...,x_s,u_1,...,$ $u_\nu)\in O^s\times G^\nu$ წერტილისათვის ფუნქციები f, f_{x_i}, $i=1,...,s$, f_{u_j}, $j=1,...,\nu$ ზომადია J-ზე; ნებისმიერი $K\subset O$, $N\subset G$ კომპაქტებისთვის არსებობს ფუნქცია $m_{K,N}(\cdot)\in L(J,R_+)$ ისეთი რომ, ნებისმიერი $(x_1,...,x_s,u_1,...,u_\nu)\in K^s\times N^\nu$ და თითქმის ყველა $t\in J$ ადგილი აქვს უტოლობას:

$$|f(t,x_1,...,x_s,u_1,...,u_\nu)|+\sum_{i=1}^{s}|f_{x_i}(\cdot)|+\sum_{j=1}^{\nu}|f_{u_j}(\cdot)|\le m_{K,N}(t).$$

$A=(a_j{}^i)^n{}_{i,j=1}$ მატრიცის მოდულის ქვეშ იგულისხმება ევკლიდეს მოდული

$$|A|^2=\sum_{i,j=1}^{n}(a_j{}^i)^2.$$

თ ე ო რ ე მ ა 1.1.1. ვთქვათ $u\in E_u$, მაშინ ფუნქციები $u(\theta_j(t))$, $t\in J$, $j=1,...,\nu$ ზომადია.

თ ე ო რ ე მ ა 1.1.2. ვთქვათ $u \in E_u$, მაშინ ფუნქციები $f(t,x_1...,x_s,u(\theta_1(t)),...,u(\theta_\nu(t)))$, $f_{x_i}(t,x_1...,x_s,u(\theta_1(t)),...,u(\theta_\nu(t)))$, $i=1,...,s$, $f_{u_j}(t,x_1...,x_s,u(\theta_1(t)),...,u(\theta_\nu(t)))$, $j=1,...,\nu$ ყოველ ფიქსირებულ $(x_1,...,x_s)\in O^s$ ზომადია J-ზე.

ეს თეორემები ცნობილია კლასიკური ანალიზიდან [26].

ყოველ $\mu=(t_0,x_0,\varphi,u)\in B=J\times O\times\Phi\times\Omega$ ელემენტს შევუსაბამოთ ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლება

$$\dot{y}(t)=\sum_{j=1}^{k}A_j(t)h(t_0,\dot{\varphi},\dot{y})(\eta_j(t))+f(t_0,\varphi,y,u)(t), \tag{1.1.1}$$

საწყისი პირობით

$$y(t_0)=x_0, \tag{1.1.2}$$

სადაც

$$f(t_0,\varphi,y,u)(t)=f(t,h(t_0,\varphi,y)(\tau_1(t)),...,h(t_0,\varphi,y)(\tau_s(t)),u(\theta_1(t),...,u(\theta_\nu(t))), \tag{1.1.3}$$

ხოლო ოპერატორი $h(\cdot)$ განისაზღვრება ფორმულით

$$h(t,\varphi,y)(t)=\begin{cases}\varphi(t), t\in[\tau,t_0),\\ y(t), t\in[t_0,b].\end{cases} \tag{1.1.4}$$

განსაზღვრება 1.1.1. ვთქვათ $\mu=(t_0,x_0,\varphi,u)\in B,\ t_0\in[r_1,r_2]\subset J.$ აბსოლუტურად უწყვეტ ფუნქციას $y(t)=y(t;\mu)\in O,\ t\in[r_1,r_2]$ ეწოდება (1.1.1) განტოლების ამონახსნი (1.1 2) საწყისი პირობით ან $\mu\in B$ ელემენტის შესაბამისი ამონახსნი განმარტებული $[r_1,r_2]$ ინტერვალზე, თუ $y(t_0)=x_0$ და $[r_1,r_2]$ ინტერვალზე $y(t)$ ფუნქცია თითქმის ყველა t-თვის აკმაყოფილებს (1.1.1) განტოლებას.

თუ $[r_1,r_2]$ ინტერვალის სიგრძე საკმარისად მცირეა, მაშინ μ ელემენტს შეესაბამება ერთადერთი ამონახსნი [2].

შემოვიღოთ ვარიაციათა სიმრავლე:

$V=\{\delta\mu=(\delta t_0,\delta x_0,\delta\varphi,\delta u)\in E_\mu=R\times R^n\times E_\varphi\times E_u : |\delta t_0|\le c,\ |\delta x_0|\le c,\ \|\delta\varphi\|\le c,\ \|\delta u\|\le c\}$,

სადაც $c>0$-ფიქსირებული რიცხვია.

V სიმრავლე E_μ სივრცეში წარმოადგენს ნულის მიდამოს.

ლ ე მ ა 1.1.1. ვთქვათ $\tilde{y}(t)$, $t\in[r_1,r_2]\subset(a,b)$ არის $\tilde{\mu}=(\tilde{t}_0,\tilde{x}_0,\tilde{\varphi},\tilde{u})\in B$ ელემენტის შესაბამისი ამონახსნი; $K_1\subset O$-კომპაქტი შეიცავს $\tilde{\varphi}(J_1)\cup\tilde{y}([r_1,r_2])$ სიმრავლის რაიმე

მიდამოს; $N_1 \subset G$ -კომპაქტი შეიცავს $cl\widetilde{u}(J_2)$ სიმრავლის რაიმე მიდამოს. მაშინ არსებობს ისეთი რიცხვები $\varepsilon_1 > 0$ და $\delta_1 > 0$, რომ ნებისმიერი $(\varepsilon, \delta\mu) \in [0, \varepsilon_1] \times V$ ელემენტი $\widetilde{\mu} + \varepsilon\delta\mu \in B$ და მას შეესაბამება ამონახსნი $y(t; \widetilde{\mu} + \varepsilon\delta\mu) \in K_1$, $t \in [r_1 - \delta_1, r_2 + \delta_1] \subset J$. მასთან $\varphi(t) = \widetilde{\varphi}(t) + \varepsilon\delta\varphi(t) \in K_1$, $t \in J_1$; $u(t) = \widetilde{u}(t) + \varepsilon\delta u(t) \in N_1$, $t \in J_2$; $y(t; \widetilde{\mu} + \varepsilon\delta\mu) \in K_1$, $t \in$ $\in [r_1 - \delta_1, r_2 + \delta_1]$;

$$\lim_{\varepsilon \to 0} y(t; \widetilde{\mu} + \varepsilon\delta\mu) = y(t; \widetilde{\mu}), \quad \text{თანაბრად} \quad (t, \delta\mu) \in [r_1 - \delta_1, r_2 + \delta_1] \times V. \tag{1.1.5}$$

ეს ლემა არის *ლემა 5.1* (იხ. [38] გვ. 78) ანალოგი და მტკიცდება იგივე ხერხით.

შემდეგ, ყოველ $\mu = (t_0, x_0, \varphi, u) \in B$ ელემენტს შევუსაბამოთ ნეიტრალური ტიპის კვაზი-წრფივი დიფერენციალური განტოლება

$$\dot{x}(t) = \sum_{j=1}^{k} A_j(t)\dot{x}(\eta_j(t)) + f(t, x(\tau_1(t)), \dots, x(\tau_s(t)), u(\theta_1(t)), \dots, u(\theta_\nu(t))), \tag{1.1.6}$$

წყვეტილი საწყისი პირობით

$$x(t) = \varphi(t), \quad t \in [\tau, t_0), \quad x(t_0) = x_0. \tag{1.1.7}$$

განსაზღვრება 1.1.2. ვთქვათ $\mu = (t_0, x_0, \varphi, u) \in B$, $t_0 < b$. $x(t) = x(t; \mu) \in O$, $t \in [\tau, t_1]$, $t_1 \in (t_0, b]$, ფუნქციას ეწოდება (1.1.6) განტოლების ამონახსნი (1.1.7) საწყისი პირობით, ან μ ელემენტის შესაბამისი ამონახსნი განმარტებული $[\tau, t_1]$ ინტერვალზე, თუ $x(t)$ ფუნქცია $[\tau, t_0]$ ინტერვალზე აკმაყოფილებს (1.1.7) პირობას, ხოლო $[t_0, t_1]$, ინტერვალზე აბსოლუტურად უწყვეტია და თითქმის ყველგან $[t_0, t_1]$ ინტერვალზე აკმაყოფილებს (1.1.6) განტოლებას.

არსებობისა და ერთადერთობის თეორემის თანახმად [2], ყოველ μ ელემენტს შეესაბამება ამონახსნი $x(t; \mu)$ განმარტებული $[\tau, t_1]$ ინტერვალზე, თუ $[t_0, t_1]$ ინტერვალის სიგრძე საკმარისად მცირეა.

შენიშვნა 1.1.1. ვთქვათ $y(t; \mu)$, $t \in [r_1, r_2]$, $\mu \in B$, არის (1.1.1) განტოლების ამონახსნი (1.1.2) საწყისი პირობით, მაშინ ფუნქცია

$$x(t; \mu) = h(t_0, \varphi, y(\cdot; \mu))(t), \quad t \in [\tau, r_2], \tag{1.1.8}$$

იქნება (1.1.6) განტოლების ამონახსნი (1.1.7) საწყისი პირობით.

ლ ე მ ა 1.1.2. ვთქვათ $\widetilde{x}(t)$, $t \in [\tau, \widetilde{t}_1]$ არის $\widetilde{\mu} \in B$ ელემენტის შესაბამისი ამონახსნი, $\widetilde{t}_i \in (a,b)$, $i = 0,1$. ვთქვათ $K_1 \subset O$-კომპაქტი შეიცავს $\widetilde{\varphi}(J_1) \cup \widetilde{x}([\widetilde{t}_0, \widetilde{t}_1])$ სიმრავლის რაიმე მიდამოს, ხოლო $N_1 \subset G$-კომპაქტი შეიცავს $cl\widetilde{u}(J_2)$ სიმრავლის რაიმე მიდამოს. მაშინ არსებობს ისეთი რიცხვები $\varepsilon_1 > 0$ და $\delta_1 > 0$, რომ ნებისმიერი $(\varepsilon, \delta\mu) \in [0, \varepsilon_1] \times V$ ელემენტი $\widetilde{\mu} + \varepsilon\delta\mu \in B$ და მას შეესაბამება ამონახსნი $x(t; \widetilde{\mu} + \varepsilon\delta\mu)$ $t \in [\tau, \widetilde{t}_1 + \delta_1] \subset J_1$. მასთან

$$x(t; \widetilde{\mu} + \varepsilon\delta\mu) \in K_1, \quad t \in [\tau, \widetilde{t}_1 + \delta_1]; \quad u(t) = \widetilde{u}(t) + \varepsilon\delta u(t) \in N_1, \quad t \in J_2. \tag{1.1.9}$$

ადვილი შესამჩნევია, რომ თუ *ლემა 1.1.1*-ში $r_1 = \widetilde{t}_0$, $r_2 = \widetilde{t}_1$, მაშინ $\widetilde{y}(t) = \widetilde{x}(t), t \in [\widetilde{t}_0, \widetilde{t}_1]$;

$x(t; \widetilde{\mu} + \varepsilon\delta\mu) = h(t_0, \varphi, y(\cdot; \widetilde{\mu} + \varepsilon\delta\mu)(t))$, $(t, \varepsilon, \delta\mu) \in [\tau, \widetilde{t}_1 + \delta_1] \times [0, \varepsilon_1] \times V$ (იხ.(1.1.8)).

ამრიგად *ლემა 1.1.2* წარმოადგენს *ლემა 1.1.1*-ის უშუალო შედეგს.

ლ ე მ ა 1.1.3. ([38], გვ. 35). ნებისმიერი $K \subset O$, $N \subset G$ კომპაქტებისთვის არსებობს ფუნქცია $L_{K,N}(\cdot) \in L(J, R_+)$ ისეთი, რომ ნებისმიერი $x'_i, x''_i \in K$, $i = 1,\dots,s$, $u'_j, u''_j \in N$, $j = 1,\dots,\nu$ და თითქმის ყველა $t \in J$ ადგილი აქვს უტოლობას

$$| f(t, x'_1,\dots,x'_s, u'_1,\dots,u'_\nu) - f(t, x''_1,\dots,x''_s, u''_1,\dots,u''_\nu) | \le L_{K,N}(t)\left(\sum_{i=1}^{s} | x'_i - x''_i | + \sum_{j=1}^{\nu} | u'_j - u''_j |\right). \tag{1.1.10}$$

განვიხილოთ წრფივი ნეიტრალური ტიპის დიფერენციალური განტოლება

$$\dot{x}(t) = \sum_{j=1}^{k} A_j(t)\dot{x}(\eta_j(t)) + \sum_{i=1}^{s} B_i(t)x(\tau_i(t)) + f(t), \qquad t \in [t_0, b], \tag{1.1.11}$$

საწყისი პირობით

$$x(t) = \varphi(t), t \in [\tau, t_0), \qquad x(t_0) = x_0, \tag{1.1.12}$$

სადაც $B_i(t)$, $i = 1,\dots,s$, $t \in J$ არის ჯამადი მატრიცული ფუნქციები განზომილებით $n \times n$, $f \in L(J, R^n)$, $t_0 \in [a,b)$, $x_0 \in R^n$, $\varphi \in E_\varphi$.

(1.1.11) დიფერენციალური განტოლების ამონახსნი, (1.1.12) საწყისი პირობით, არსებობს და ერთადერთია, იგი განმარტებულია $[\tau, b]$ ინტერვალზე.

ლ ე მ ა 1.1.4. (კოშის ფორმულა, [2,38]). (1.1.11) განტოლების ამონახსნი (1.1.12) საწყისი პირობით, $[t_0, b]$ ინტერვალზე შეიძლება წარმოდგენილი იქნას ფორმულით

$$x(t) = \Phi(t_0; t)x_0 + \sum_{i=1}^{s} \int_{\tau_i(t_0)}^{t_0} Y(\gamma_i(\xi); t)B_i(\gamma_i(\xi))\dot{\gamma}_i(\xi)\varphi(\xi)d\xi +$$

$$+\sum_{j=1}^{k}\int_{\eta_j(t_0)}^{t_0} Y(\rho_j(\xi);t)A_j(\rho_j(\xi))\dot{\rho}_j(\xi)\dot{\varphi}(\xi)d\xi+\int_{t_0}^{t} Y(\xi;t)f(\xi)d\xi,$$

სადაც $\Phi(\xi;t)$, $Y(\xi;t)$ მატრიცული ფუნქციებია, ისინი აკმაყოფილებენ სისტემას

$$\begin{cases}\dfrac{\partial\Phi(\xi;t)}{\partial\xi}=-\sum_{i=1}^{s}Y(\gamma_i(\xi);t)B_i(\gamma_i(\xi))\dot{\gamma}_i(\xi),\\ Y(\xi;t)=\Phi(\xi;t)+\sum_{j=1}^{k}Y(\rho_i(\xi);t)A_j(\rho_j(\xi))\dot{\rho}_j(\xi),\xi\in[t_0,t]\end{cases}\qquad(1.1.13)$$

და პირობას

$$Y(\xi;t)=\Phi(\xi;t)=\begin{cases}I,\xi=t,\\ \Theta,\xi>t,\end{cases}\qquad(1.1.14)$$

I -ერთეულოვანი მატრიცაა, Θ -ნულოვანი მატრიცაა.

შენიშვნა 1.1.2. თუ (1.1.11) განტოლებაში $B_i(t)=0,\ i=1,\dots,s,$ მაშინ $\Phi(\xi;t)=I,\ \xi\in[t_0,t]$ და ამონახსნი წარმოიდგინება ფორმულით

$$x(t)=x_0+\sum_{j=1}^{k}\int_{\eta_j(t_0)}^{t_0} Y(\rho_j(\xi);t)A_j(\rho_j(\xi))\dot{\rho}_j(\xi)\dot{\varphi}(\xi)d\xi+\int_{t_0}^{t} Y(\xi;t)f(\xi)d\xi.$$

ლ ე მ ა 1.1.5. [3, გვ.15]. მატრიცული ფუნქცია $\Phi(\xi;t)$ უწყვეტია $\Pi=\{(\xi;t):a\le\xi\le$ $\le t\le b\}$ სიმრავლეზე.

(1.1.13) სისტემის მე-2 განტოლება საშუალებას იძლევა ფუნქცია $Y(\xi;t)$, $\xi\in[a,t]$, გამოვსახოთ $\Phi(\xi;t)$ ფუნქციით. სახელდობრ ადგილი აქვს ფორმულას

$$Y(\xi;t)=\Phi(\xi;t)+\sum_{l=1}^{p(t)}\sum_{i=1}^{l}\sum_{k_1=1}^{k}\cdots\sum_{i=1}^{k}\Phi(\rho_{k_i}(\rho_{k_{i-1}}(\dots(\rho_{k_i}(\xi))\dots);t))A_{k_1}(\rho_{k_1}(\xi))A_{k_2}(\rho_{k_2}(\rho_{k_1}(\xi)))\dots$$

$$\dots A_{k_i}(\rho_{k_i}(\rho_{k_{i-1}}(\dots(\rho_{k_i}(\xi))\dots)))\frac{d}{d\xi}[(\rho_{k_i}(\rho_{k_{i-1}}(\dots(\rho_{k_i}(\xi))\dots)))],\qquad(1.1.15)$$

სადაც $p(t)$ არის მინიმალური ნატურალური რიცხვი რომლისთვისაც შესრულებულია უტოლობები:

$$\eta_{k_1}(\eta_{k_2}(\dots(\eta_{k_{p(t)+1}}(t))\dots))<a,\quad k_i=1,\dots,k,\quad i=1,\dots,p(t)+1.$$

ლ ე მ ა 1.1.6. მატრიცულ ფუნქციას $Y(\xi;t)$ აქვს შემდეგი თვისებები:

1.1.1) ყოველ ფიქსირებული $t\in(a,b]$ ფუნქციას $Y(\xi;t)$, $\xi\in[a,t)$ აქვს პირველი გვარის წყვეტა

$$I(a;t)=\left\{\eta_{k_1}(\eta_{k_2}(...(\eta_{k_l}(t)),...))\in[a,t]:l=1,2,...;\quad m=1,...,l,\quad k_m=1,...,k\right\}$$

სიმრავლის წერტილებში;

1.1.2)

$$\lim_{\sigma\to\xi-}Y(\sigma;t)=Y(\xi-;t),\quad \lim_{\sigma\to\xi+}Y(\sigma;t)=Y(\xi+;t)$$

თანაბრად $(\xi,t)\in\Pi$;

1.1.3) ვთქვათ $\xi_i\in(a,b)$, $i=0,1$, $\xi_0<\xi_1$, $\xi_0\notin I(\xi_0;\xi_1)$, მაშინ არსებობს რიცხვები $\delta_i>0$, $i=0,1$, ისეთი, რომ ფუნქცია $Y(\xi;t)$ უწყვეტია სიმრავლეზე $[\xi_0-\delta_0,\xi_0+\delta_0]\times$ $\times[\xi_1-\delta_1,\xi_1+\delta_1]\subset\Pi$.

ეს ლემა არის *ლემა 1.1.5* და (1.1.15) ფორმულის შედეგი.

ლ ე მ ა 1.1.7. (გრონუოლის ლემა) ვთქვათ $g(t)\geq 0$, $t\in[t_0,b]$ უწყვეტი ფუნქციაა, $m(\cdot)\in L(J,R_+)$ და შესრულებულია უტოლობა

$$g(t)\leq c+\int_{t_0}^{t}m(\xi)g(\xi)d\xi.$$

მაშინ

$$g(t)\leq c\exp\left(\int_{t_0}^{t}m(\xi)d\xi\right).$$

§1.2 ამონახსნის ვარიაციის ფორმულები განტოლებისათვის წყვეტილი საწყისი პირობით

1.2.1. ძირითადი თეორემების ფორმულირება. ერთადერთობის გამო $x(t;\widetilde{\mu}+\varepsilon\delta\mu)$ ამონახსნი წარმოადგენს $\widetilde{x}(t)$ ამონახსნის გაგრძელებას $[\tau,\widetilde{t}_1+\delta_1]$ ინტერვალზე, ამიტომ ყოველთვის ვიგულისხმებთ, რომ $\widetilde{\mu}$ ელემენტის შესაბამისი ამონახსნი თავიდანვე განსაზღვრულია $[\tau,\widetilde{t}_1+\delta_1]$ ინტერვალზე. (იხ. *ლემა 1.1.2*)

განვსაზღვროთ $\widetilde{x}(t)=x(t;\widetilde{\mu})$ ამონახსნის ნაზრდი

$$\Delta x(t;\varepsilon\delta\mu)=x(t;\widetilde{\mu}+\varepsilon\delta\mu)-\widetilde{x}(t),\quad \forall(t,\varepsilon,\delta\mu)\in[\tau,\widetilde{t}_1+\delta_1]\times[0,\varepsilon_1]\times V \tag{1.2.1}$$

ძირითადი შედეგების ჩამოსაყალიბებლად ჩვენ დაგვჭირდება შემდეგი აღნიშვნები:

$$\varpi_{0i}=(\widetilde{t}_0,\underbrace{\widetilde{x}_0,\dots,\widetilde{x}_0}_{i},\underbrace{\widetilde{\varphi}(\widetilde{t}_0),\dots,\widetilde{\varphi}(\widetilde{t}_0)}_{(p-i)},\widetilde{\varphi}(\tau_{p+1}(\widetilde{t}_0)),\dots,\widetilde{\varphi}(\tau_s(\widetilde{t}_0))),\qquad i=0,\dots,p;$$

თუ $i=0$, მაშინ იგულისხმება რომ ϖ_{00} არ შეიცავს $\widetilde{x}_0$; თუ $i=p$, მაშინ იგულისხმება რომ ϖ_{0p} არ შეიცავს $\widetilde{\varphi}(\widetilde{t}_0)$.

$$\varpi_{0i}=(\gamma_i,\widetilde{x}(\tau_i(\gamma_i)),\dots,\widetilde{x}(\tau_{i-1}(\gamma_i)),\widetilde{x}_0,\widetilde{\varphi}(\tau_{i+1}(\gamma_i)),\dots,\widetilde{\varphi}(\tau_s(\gamma_i))),$$

$$\varpi_{1i}=(\gamma_i,\widetilde{x}(\tau_i(\gamma_i)),\dots,\widetilde{x}(\tau_{i-1}(\gamma_i)),\widetilde{\varphi}(\widetilde{t}_0),\widetilde{\varphi}(\tau_{i+1}(\gamma_i)),\dots,\widetilde{\varphi}(\tau_s(\gamma_i))),\qquad i=p+1,\dots,s;$$

$\gamma_i=\gamma_i(\widetilde{t}_0)$, $\rho_j=\rho_j(\widetilde{t}_0)$; $\gamma_i(t)$ და $\rho_j(t)$ აღნიშნავენ, შესაბამისად, $\tau_i(t)$ და $\eta_j(t)$ ფუნქც იების შექცეულს; $\widetilde{f}(\varpi)=f(\varpi,\widetilde{u}(\theta_1(t)),\dots,\widetilde{u}(\theta_\nu(t)),\quad \varpi=(t,x_1,\dots,x_s)$;

$$\widetilde{f}_{x_i}[t]=f_{x_i}(t,\widetilde{x}(\tau_1(t)),\dots,\widetilde{x}(\tau_s(t)),\widetilde{u}(\theta_1(t)),\dots,\widetilde{u}(\theta_\nu(t))).$$

თ ე ო რ ე მ ა 1.2.1. ვთქვათ შესრულებულია პირობები

1.2.1) $\gamma_i=\widetilde{t}_0$, $i=1,\dots,p$; $\gamma_{p+1}<\dots<\gamma_s<\widetilde{t}_1$, $\rho_j<\widetilde{t}_1$, $j=1,\dots,k$;

1.2.2) არსებობს ისეთი $\delta>0$ რიცხვი, რომ $\gamma_1(t)\le\dots\le\gamma_p(t)$, $t\in(\widetilde{t}_0-\delta,\widetilde{t}_0]$;

1.2.3) არსებობს სასრული ზღვრები: $\dot{\gamma}_i^-=\dot{\gamma}_i(\widetilde{t}_0-)$, $i=1,\dots,s$;

$$\lim_{\varpi\to\varpi_{0i}}\widetilde{f}(\varpi)=f_i^-,\quad \varpi\in(\widetilde{t}_0-\delta,\widetilde{t}_0]\times O^s,\quad i=0,\dots,p;$$

$$\lim_{(\varpi_1,\varpi_2)\to(\varpi_{0i},\varpi_{1i})}[\widetilde{f}(\varpi_1)-\widetilde{f}(\varpi_2)]=f_i^-,\quad \varpi_1,\varpi_2\in(\gamma_i-\delta,\gamma_i]\times O^s,\quad i=p+1,\dots,s.$$

მაშინ არსებობს რიცხვები $\varepsilon_2>0$ და $\delta_2>0$, ისეთი, რომ ყოველი

$$(t,\varepsilon,\delta\mu)\in[\widetilde{t}_1-\delta_2,\widetilde{t}_1+\delta_2]\times[0,\varepsilon_2]\times V^-\ ,\ \text{სადაც}\ V^-=\{\delta\mu\in V:\delta t_0\le 0\},$$

სამართლიანია ტოლობა

$$\Delta x(t;\varepsilon\delta\mu)=\varepsilon\delta x(t;\delta\mu)+o(t;\varepsilon\delta\mu),^{1} \tag{1.2.2}$$

სადაც

$$\delta x(t;\delta\mu)=\left\{Y(\widetilde{t}_0-;t)\left[\dot{\widetilde{\varphi}}(\widetilde{t}_0)-\sum_{j=1}^{k}A_j(\widetilde{t}_0)\dot{\widetilde{\varphi}}(\eta_j(\widetilde{t}_0))+\sum_{i=0}^{p}(\hat{\gamma}_{i+1}^--\hat{\gamma}_i^-)f_i^-\right]-\right.$$

---

[1] აქ და შემდეგში სიდიდეები (სკალარული და ვექტორული) რომელთაც აქვთ, თანაბარად $(t,\delta\mu)$ მიმართ, შესაბა მისი სიმცირის რიგი აღნიშნული იქნება შესაბამისად $O(t;\varepsilon\delta\mu)$, $o(t;\varepsilon\delta\mu)$.

$$-\sum_{i=p+1}^{s} Y(\gamma_i-;t)f_i^-\dot{\gamma}_i^-\Bigg\}\delta t_0+\beta(t;\delta\mu). \qquad (1.2.3)$$

$$\beta(t;\delta\mu)=\Phi(\widetilde{t}_0;t)[\delta x_0-\dot{\widetilde{\varphi}}(\widetilde{t}_0)\delta t_0]+\sum_{i=p+1}^{s}\int_{\tau_i(\widetilde{t}_0)}^{\widetilde{t}_0} Y(\gamma_i(\xi);t)\widetilde{f}_{x_i}[\gamma_i(\xi)]\dot{\gamma}_i(\xi)\delta\varphi(\xi)d\xi+$$

$$+\sum_{j=1}^{k}\int_{\eta_j(\widetilde{t}_0)}^{\widetilde{t}_0} Y(\rho_j(\xi);t)A_j(\rho_j(\xi))\dot{\rho}_j(\xi)\delta\dot{\varphi}(\xi)d\xi+\sum_{j=1}^{v}\int_{\widetilde{t}_0}^{t} Y(\xi;t)\widetilde{f}_{u_j}[\xi]\delta u(\theta_j(\xi))d\xi,$$

$$\hat{\gamma}_0^-=1,\ \ \hat{\gamma}_i^-=\dot{\gamma}_i^-,\ \ i=1,\dots,p,\ \ \hat{\gamma}_{p+1}^-=0;$$

მატრიცული ფუნქციები $\Phi(\xi;t)$, $Y(\xi;t)$ აკმაყოფილებენ სისტემას

$$\begin{cases}\dfrac{\partial\Phi(\xi;t)}{\partial\xi}=-\displaystyle\sum_{i=1}^{s} Y(\gamma_i(\xi);t)\widetilde{f}_{x_i}[\gamma_i(\xi)]\dot{\gamma}_i(\xi),\\ Y(\xi;t)=\Phi(\xi;t)+\displaystyle\sum_{j=1}^{k} Y(\rho_j(\xi);t)A_j(\rho_j(\xi))\dot{\rho}_j(\xi),\xi\in[\widetilde{t}_0,t]\end{cases} \qquad (1.2.4)$$

და (1 1.14) პირობას.

$\delta x(t;\delta\mu)$ ეწოდება ამონახსნის ვარიაცია, ხოლო (1.2.3) -ვარიაციის ფორმულა.

თ ე ო რ ე მ ა 1.2.2. ვთქვათ შესრულებულია *თეორემა 1.2.1.* მოთხოვნა 1.2.1). გარდა ამისა, ვუქვათ შესრულებულია ქვემოთმოყვანილი პირობები:

12.4) არსებობს ისეთი $\delta>0$ რიცხვი, რომ $\gamma_1(t)\le\dots\le\gamma_p(t)$, $t\in[\widetilde{t}_0,\widetilde{t}_0+\delta)$;

12.5) არსებობს სასრული ზღვრები: $\dot{\gamma}_i^+=\dot{\gamma}_i(\widetilde{t}_0+)$, $i=1,\dots,s$;

$$\lim_{\varpi\to\varpi_{0i}}\widetilde{f}(\varpi)=f_i^+,\ \ \varpi\in[\widetilde{t}_0,\widetilde{t}_0+\delta)\times O^s,\ \ i=0,\dots,p;$$

$$\lim_{(\varpi_1,\varpi_2)\to(\varpi_{0i},\varpi_{1i})}[\widetilde{f}(\varpi_1)-\widetilde{f}(\varpi_2)]=f_i^+,\ \ i=p+1,\dots,s,\ \ \varpi_1,\varpi_2\in[\gamma_i,\gamma_i+\delta)\times O^s.$$

მაშინ არსებობს რიცხვები $\varepsilon_2>0$, $\delta_2>0$ ისეთი, რომ ყოველი $(t;\varepsilon,\delta\mu)\in[\widetilde{t}_1-\delta_2,\widetilde{t}_1+\delta_2]\times$ $\times[0,\varepsilon_2]\times V^+$ სადაც $V^+=\{\delta\mu\in V:\delta t_0\ge 0\}$, ადგილი აქვს (1.2.2) ტოლობას სადაც, $\delta x(t;\delta\mu)$ აქვს სახე

$$\delta x(t;\delta\mu)=\Bigg\{Y(\widetilde{t}_0+;t)\Bigg[\dot{\widetilde{\varphi}}(\widetilde{t}_0)-\sum_{j=1}^{k}A_j(\widetilde{t}_0)\dot{\widetilde{\varphi}}(\eta_j(\widetilde{t}_0))+\sum_{i=0}^{p}(\hat{\gamma}_{i+1}^+-\hat{\gamma}_i^+)f_i^+\Bigg]-$$

$$-\sum_{i=p+1}^{s} Y(\gamma_i+;t)f_i^+\dot{\gamma}_i^+\Bigg\}\delta t_0+\beta(t;\delta\mu), \qquad (1.2.4)$$

$$\hat{\gamma}_0^+ = 1, \quad \hat{\gamma}_i^+ = \dot{\gamma}_i^+, \quad i = 1,\dots,p, \quad \hat{\gamma}_{p+1}^+ = 0.$$

თ ე ო რ ე მ ა 1.2.3. ვთქვათ შესრულებულია 1.2.1) და 1.2.2) მოთხოვნები და ვთქვათ გარდა ამისა შესრულებულია ქვემოთ ჩამოთვლილი პირობები:

1.2.6) $\gamma_i, \widetilde{t}_0 \notin I(\widetilde{t}_0;\widetilde{t}_1)$, $i = p+1,\dots,s$; (იხ. 1.1.1))

1.2.7) $\sum\limits_{i=0}^{p}(\hat{\gamma}_{i+1}^- - \hat{\gamma}_i^-)f_i^- = \sum\limits_{i=0}^{p}(\hat{\gamma}_{i+1}^+ - \hat{\gamma}_i^+)f_i^+ = f_0$, $f_i^-\dot{\gamma}_i^- = f_i^+\dot{\gamma}_i^+ = f_i$, $i = p+1,\dots,s.$

მაშინ არსებობს რიცხვები $\varepsilon_2 > 0$ და $\delta_2 > 0$ ისეთი, რომ ყოველი $(t,\varepsilon,\delta\mu) \in [\widetilde{t}_1 - \delta_2;\widetilde{t}_1 + \delta_2]\times$ $\times[0,\varepsilon_2]\times V$ ადგილი აქვს (1.2.2) ტოლობას, სადაც $\delta x(t;\delta\mu)$ აქვს სახე

$$\delta x(t;\delta\mu) = \left\{Y(\widetilde{t}_0;t)\left[\dot{\widetilde{\varphi}}(\widetilde{t}_0) - \sum_{j=1}^{k}A_j(\widetilde{t}_0)\dot{\widetilde{\varphi}}(\eta_j(\widetilde{t}_0)) + f_0\right] - \sum_{i=p+1}^{s}Y(\gamma_i;t)f_i\right\}\delta t_0 + \beta(t;\delta\mu).$$

1.2.2. ზოგიერთი კომენტარი. ქვემოთ მოყვანილი ჩამონათვალი მეტწილად შეეხება *თეორემა 1.2.1,* თუმცა იგივე შეიძლება ითქვას დანარჩენი თეორემების მიმართაც.

1.2.8) ვთქვათ $\widetilde{\varphi}(\widetilde{t}_0) = \widetilde{x}_0$, მაშინ $f_0^- = \dots = f_p^-$, $f_i^- = 0$, $i = p+1,\dots,s.$ ამ შემთხვევაში (1.2.3) ფორმულა მიიღებს სახეს

$$\delta x(t;\delta\mu) = \left\{Y(\widetilde{t}_0-;t)\left[\dot{\widetilde{\varphi}}(\widetilde{t}_0) - \sum_{j=1}^{k}A_j(\widetilde{t}_0)\dot{\widetilde{\varphi}}(\eta_j(\widetilde{t}_0)) - f_0^-\right]\right\}\delta t_0 + \beta(t;\delta\mu).$$

1.2.9) ვთქვათ $\gamma_i > \widetilde{t}_0, i = 1,\dots,s,$ მაშინ (1.2.3) ფორმულაში უნდა ვიგულისხმოთ, რომ $p = 0$. ამ შემთხვევაში 1.2.2) მოთხოვნა არ არის საჭირო.

1.2.10) *თეორემა 1.2.1* სამართლიანია, თუ $\rho_j > \widetilde{t}_1$, $j = k_1,\dots,k$, $\gamma_i > \widetilde{t}_1$, $i = s_1,\dots,s.$ ამ შემთხვევაში ყველგან გათვალისწინებული უნდა იქნას (1.1.14) პირობა. შემთხვევა როცა რომელიმე $\gamma_i = \widetilde{t}_1$ ან $\rho_j = \widetilde{t}_1$, ნაშრომში არ განიხილება.

1.2.11) თუ ადგილი აქვს უტოლობებს $\dot{\gamma}_p^- < \dots < \dot{\gamma}_1^-$, მაშინ 1.2.2) პირობა შესრულებულია. მართლაც

$$\gamma_i(t) - \gamma_{i+1}(t) = \int_{\widetilde{t}_0}^{t}(\dot{\gamma}_i(\xi) - \dot{\gamma}_{i+1}(\xi))d\xi = (\dot{\gamma}_i^- - \dot{\gamma}_{i+1}^-)(t - \widetilde{t}_0) + o(|t - \widetilde{t}_0|),$$

$$i = 1,\dots,p-1.$$

ცხადია, რომ თუ $\delta > 0$ საკმარისად მცირეა, მაშინ უკანასკნელი ტოლობი დან გამომდინარეობს უტოლობა $\gamma_i(t) \le \gamma_{i+1}(t)$, $i = 1,\dots,p$

$t \in (\widetilde{t}_0 - \delta, \widetilde{t}_0]$. ანალოგიურად შეიძლება დამტკიცდეს, რომ თუ $\dot{\gamma}_i^+ < \ldots < \dot{\gamma}_p^+$, მაშინ 1.2.4) პირობა შესრულებულია.

1.2.12) პირობები 1.2.3) და 1.2.5) შესრულებულია თუ $\tau_i(t)$ $i = 1,\ldots,s$ ფუნქციები უწყვეტად წარმოებადია; $\widetilde{u}(t)$-უბან-უბან უწყვეტი ფუნქციაა, პირველი გვარის სასრული რაოდენობა წყვეტის წერტილებით, ხოლო $f(t, x_1,\ldots,x_s,u_1,\ldots,u_v)$ ფუნქციაზე მოთხოვნილ პირობებში t-ს მიმართ ზომადობა შეცვლილია უწყვეტობით.

1.2.13) ვთქვათ $\eta_j(t)$, $j = 1,\ldots,k$ ფუნქციები თანაზომადია ე.ი. არსებობს უწყვეტად წარმოებადი ფუნქცია $\eta(t)$ ისეთი, რომ $\eta(t) < t$, $\dot{\eta}(t) > 0$, $t \in R$ და $\eta_j(t)$ ფუნქციები წარმოადგენს $\eta(t)$ ფუნქციის სუპერპოზიციას ე.ი.

$$\eta_j(t) = \eta^j(t) = \eta(\eta^{j-1}(t)), \quad j = 1,\ldots,k, \quad \eta^0(t) = t.$$

მაშინ $I(\widetilde{t}_0;\widetilde{t}_1)$ სიმრავლის სტრუქტურა მარტივდება და მას აქვს სახე

$$I(\widetilde{t}_0;\widetilde{t}_1) = \{\eta^j(\widetilde{t}_1) \in [\widetilde{t}_0;\widetilde{t}_1] : j = 1,2,\ldots\}.$$

1.2.14) თუ $A_j(t) \equiv 0$, $j = 1,\ldots,k$, მაშინ (1 1 6) არის დაგვიანებულარგუმენტიანი გან ტოლებათა სისტემა. ამ შემთხვევაში $Y(\xi;t) \equiv \Phi(\xi;t)$ (იხ.(1.2.4)), ხოლო (1.2.3) ფორმულა ემთხვევა [36,48]-ში მიღებულ შედეგს, რომელიც დამტკი ცებულია უბან-უბან უწყვეტ საწყის ფუნქციათა კლასში.

1.2.15) კვაზი-წრფივი ნეიტრალური დიფერენციალური განტოლებისათვის, წყვეტი ლი საწყისი პირობით, ვარიაციის ფორმულები მიღებულია [3], [39]-ში იმ შემთხვევისთვის, როცა მარჯვენა მხარეში არ შედის სამართი ფუნქცია. ამდენად ჩვენს მიერ მიღებული ფორმულები განსხვავდება [3], [39]-ში მიღ ებული ფორმულებისაგან და ისინი ერთმანეთისაგან არ გამომდინარეობენ.

1.2.16) თუ $A_j(t) \equiv 0$, $j = 1,\ldots,k$, $s = 1$, $\tau_1(t) \equiv t$, მაშინ (1.1.6) არის ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლება და (1.2.3) ფორმულა ემთხვევა კლასიკურ შე დეგს [40].

1.2.17) მოყვანილ თეორემებში ვარიაციის ფორმულები დამტკიცებულია $\widetilde{t}_1$ მომენ ტის მიდამოში. ეს გამოწვეულია იმით, რომ ფუნქციები $Y(\gamma_i;t)$, $i = p +$

$+1,...s$ წყვეტას განიცდიან წერტილებში $t=\gamma_i$, $i=p+1,...,s$.

1.2.18) თეორემების დამტკიცების ტექნიკა საშუალებას იძლევა ვარიაციის ფორ მულები დამტკიცდეს იმ შემთხვევაშიც, როცა $A_j(t)$, $j=t,...k$ ფუნქციები ზომადია და შემოსაზღვრული. ამისათვის საკმარისია $A_j(t)$ მატრიცებიდან მივითხოვოთ გარკვეულ წერტილებში სასრული ზღვრების არსებობა.

1.2.19) თეორემები სამართლიანია იმ შემთხვევაშიც, როცა საწყისი პირობა (1 1 7) შეცვლილია პირობით $x(t)=\varphi(t)$, $\dot{x}(t)=g(t)$, $t\in[\tau,t_0)$, $x(t_0)=x_0$. სადაც $\varphi(t)$ და $g(t)$ საწყისი ფუნქციები უბან-უბან უწყვეტ ფუნქციათა კლასიდა ნაა. ამ შემთხვევაში $\dot{\widetilde{\varphi}}(\widetilde{t}_0)$ და $\dot{\widetilde{\varphi}}(\eta_j(\widetilde{t}_0))$ შეიცვლება, შესაბამისად, $\widetilde{g}(\widetilde{t}_0-)$ და $\widetilde{g}(\eta_j(\widetilde{t}_0-))$.

1.2.20) პირობაში 1.2.1) უტოლობები შესრულებულია თუ $\gamma_i(\widetilde{t}_0)$, $i=p+1,...,s$ რიც ხვები ერთმანეთისგან განსხვავდება, ისინი ზოგადობის შეუზღუდავად შეიძლება გადანომრილი იქნას ისეთნაირად როგორც 1.2.1) პირობაშია.

§1.3. ამონახსნის ნაზრდის შეფასება V^- და V^+ ვარიაციათა სიმრავლეების მიმართ

ერთადერთობის გამო $y(t;\widetilde{\mu}+\varepsilon\delta\mu)$ ამონახსნი $[r_1-\delta_1,r_2+\delta_1]$ ინტერვალზე წარმოადგენს $\widetilde{y}(t)$ ამონახსნის გაგრძელებას, ამიტომ ჩვენ შემდეგში ვიგულისხმებთ, რომ $\widetilde{y}(t)$ ამონახსნი განსაზღვრულია $[r_1-\delta_1,r_2+\delta_1]$ ინტერვალზე (იხ. *ლემა 1.1.1.*)

განვსაზღვროთ $\widetilde{y}(t)=y(t;\widetilde{\mu})$ ამონახსნის ნაზრდი:

$$\Delta y(t)=\Delta y(t;\varepsilon\delta\mu)=y(t;\widetilde{\mu}+\varepsilon\delta\mu)-\widetilde{y}(t),\quad (t,\varepsilon,\delta\mu)\in[0,\varepsilon_1]\times[r_1-\delta_1,r_2+\delta_1]\times V \qquad (1.3.1)$$

(1.1.5) თანახმად

$$\lim_{\varepsilon\to 0}\Delta y(t;\varepsilon\delta\mu)=0,\quad \text{თანაბრად}\ (t,\delta\mu)\in[r_1-\delta_1,r_2+\delta_1]\times V \qquad (1.3.2)$$

ლ ე მ ა 1.3.1. ვთქვათ $\gamma_i=\widetilde{t}_0$, $i=1,...p$, $\gamma_{p+1}<...<\gamma_s\le r_2$, $\rho_j<r_2$, $j=1,...k$ და ვთქვათ გარდა ამისა შესრულებულია *თეორემა 1.2.1*-ის 1.2.2) და 1.2.3) პირობები. მაშინ არსებო ბს ისეთი რიცხვები $\varepsilon_2>0$ და $\delta_2>0$, რომ ნებისმიერი $(\varepsilon,\delta\mu)\in[0,\varepsilon_2]\times V^-$ შესრულებუ ლია უტოლობა

$$\max_{t\in[\widetilde{t}_0,r_2+\delta_2]} |\Delta y(t)| \le O(\varepsilon\delta\mu). \tag{1.3.3}$$

მასთან

$$\Delta y(\widetilde{t}_0)=\varepsilon\left\{\delta x_0-\Big[\sum_{j=1}^{k}A_j(\widetilde{t}_0)\dot{\widetilde{\varphi}}(\eta_j(\widetilde{t}_0))-\sum_{i=0}^{p}(\hat{\gamma}_{i+1}^{-}-\hat{\gamma}_i^{-})f_i^{-}\Big]\delta t_0\right\}+o(\varepsilon\delta\mu). \tag{1.3.4}$$

დამტკიცება. ვთქვათ $\varepsilon_2\in(0,\varepsilon_1]$, $\delta_2\in(0,\delta_1]$ იმდენად მცირეა, რომ ნებისმიერი $(\varepsilon,\delta\mu)\in$ $\in[0,\varepsilon_2]\times V^-$ შესრულებულია თანაფარდობანი:

$$\begin{cases} t_0=\widetilde{t}_0+\varepsilon\delta t_0\in(\widetilde{t}_0-\delta_2,t_0],\widetilde{t}_0<\gamma_{p+1}(t_0)<\gamma_{p+1}\dots<\gamma_{s-1}<\gamma_s(t_0),\\ \eta_j(\widetilde{t}_0)<t_0,\widetilde{t}_0<\eta_j(r_2+\delta_2)\end{cases} \tag{1.3.5}$$

ადვილი მისახვედრია, რომ $\Delta y(t)$, $t\in[\widetilde{t}_0,r_2+\delta_2]$ ფუნქცია აკმაყოფილებს განტოლებას

$$\dot{\Delta}y(t)=\sum_{j=1}^{k}A_j(t)h(t_0,\dot{\varphi},\dot{\widetilde{y}}+\dot{\Delta}y)(\eta_j(t))+f(t_0,\varphi,\widetilde{y}+\Delta y,u)(t)-\sum_{j=1}^{k}A_j(t)h(\widetilde{t}_0,\dot{\widetilde{\varphi}},\dot{\widetilde{y}})(\eta_j(t))-$$

$$-f(\widetilde{t}_0,\widetilde{\varphi},\widetilde{y},\widetilde{u})(t)=\sum_{j=1}^{k}A_j(t)h(\widetilde{t}_0,\varepsilon\dot{\delta\varphi},\dot{\Delta}y)(\eta_j(t))+\sum_{i=1}^{2}W_1(t;\varepsilon\delta\mu), \tag{1.3.6}$$

სადაც

$$\begin{cases} W_1(t;\varepsilon\delta\mu)=\sum_{j=1}^{k}A_j(t)\big[h(t_0,\dot{\varphi},\dot{\widetilde{y}}+\dot{\Delta}y)(\eta_j(t))-h(\widetilde{t}_0,\dot{\varphi},\dot{\widetilde{y}}+\dot{\Delta}y)(\eta_j(t))\big]=\sum_{j=1}^{k}W_{1j}(t;\varepsilon\delta\mu)\\ W_2(t;\varepsilon\delta\mu)=f(t_0,\varphi,\widetilde{y}+\Delta y,u)(t)-f(\widetilde{t}_0,\widetilde{\varphi},\widetilde{y},\widetilde{u})(t).\end{cases} \tag{1.3.7}$$

ცხადია, რომ (1.3.6) განტოლება $[\widetilde{t}_0,r_2+\delta_2]$ ინტერვალზე შეიძლება განხილული იქნას როგორც წრფივი ნეიტრალური ტიპის განტოლება

$$\dot{z}(t)=\sum_{j=1}^{k}A_j(t)\dot{z}(\eta_j(t))+\sum_{i=1}^{2}W_i(t;\varepsilon\delta\mu), \tag{1.3.8}$$

საწყისი პირობით $\dot{z}(t)=\varepsilon\dot{\delta\varphi}(t)$, $t\in[\tau,\widetilde{t}_0)$, $z(\widetilde{t}_0)=\Delta y(\widetilde{t}_0)$.

ერთადერთობის გამო $\Delta y(t)=z(t)$, $t\in[\widetilde{t}_0,r_2+\delta_2]$. კოშის ფორმულის თანახმად (იხ. *ლემა 1.1.2.* და *შენიშვნა 1.1.2.*) (1.3.8) განტოლების ამონახსნი შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად

$$\Delta y(t)=z(t)=\Delta y(\widetilde{t}_0)+\varepsilon\sum_{j=1}^{k}\int_{\eta_j(\widetilde{t}_0)}^{\widetilde{t}_0}Y(\rho_j(\xi);t)A_j(\rho_j(\xi))\dot{\rho}_j(\xi)\dot{\delta\varphi}(\xi)d\xi+$$

$$+\int_{\widetilde{t}_0}^{t} Y(\xi;t)\Big[\sum_{i=1}^{2} W_i(\xi;\varepsilon\delta\mu)\Big]d\xi, \tag{1.3.9}$$

სადაც $Y(\xi;t) = I + \sum_{i=1}^{k} A_j(\rho_j(\xi))Y(\rho_j(\xi);t)\dot{\rho}_j(\xi),$

(იხ. *შენიშვნა 1.1.2.* და (1.2.4) სისტემის მე-2 სასრულ-სხვაობიანი განტოლება).

(1 3.9) -დან მიიღება

$$|\Delta y(t)| \le |\Delta y(\widetilde{t}_0)| + \varepsilon c \,\|Y\| \sum_{j=1}^{k} \|A_j\| |(\rho_j(\widetilde{t}_0) - \widetilde{t}_0)| \,\|\dot{\rho}_j\| + \|Y\| \left\{ \sum_{j=1}^{k} \int_{\widetilde{t}_0}^{r_2+\delta} |W_{1j}(\xi;\varepsilon\delta\mu)|d\xi + \right.$$

$$\left. \int_{\widetilde{t}_0}^{t} |W_2(\xi;\varepsilon\delta\mu)|d\xi \right\} = |\Delta y(\widetilde{t}_0)| + O(\varepsilon\delta\mu) + \|Y\| \left\{ \sum_{j=1}^{k} W_{1j}(\varepsilon\delta\mu) + W_3(t;\varepsilon\delta\mu) \right\}, \tag{1.3.10}$$

სადაც $\|Y\| = \sup\{|Y(\xi;t)| : (\xi;t) \in \Pi\}$, $\|A\| = \sup\{|A(t)| : t \in J\}$, $\|\dot{\rho}_j\| = \sup\{|\dot{\rho}_j(t)| : t \in J\}$.

დავამტკიცოთ (1.3.4) ტოლობა. ადვილი შესამჩნევია, რომ

$$\Delta y(\widetilde{t}_0) = y(\widetilde{t}_0; \widetilde{\mu} + \varepsilon\delta\mu) - \widetilde{y}(\widetilde{t}_0) = \varepsilon\delta x_0 + \sum_{j=1}^{k} \int_{t_0}^{\widetilde{t}_0} A_j(t)\dot{\widetilde{\varphi}}(\eta_j(t))dt +$$

$$+ \int_{t_0}^{\widetilde{t}_0} f(t_0, \varphi, \widetilde{y} + \Delta y, u)(t)dt + o(\varepsilon\delta\mu). \tag{1.3.11}$$

თითოეული ინტეგრალური შესაკრები გარდავქმნათ ცალ-ცალკე. გვექნება

$$\int_{t_0}^{\widetilde{t}_0} A_j(t)\dot{\widetilde{\varphi}}(\eta_j(t))dt = -\varepsilon A_j(\widetilde{t}_0)\dot{\widetilde{\varphi}}(\eta_j(\widetilde{t}_0))\delta t_0 + o(\varepsilon\delta\mu). \tag{1.3.12}$$

შემდეგ

$$\int_{t_0}^{\widetilde{t}_0} f(t_0, \varphi, \widetilde{y} + \Delta y, u)(t)dt = \sum_{i=0}^{p} \int_{\widetilde{\gamma}_i(t_0)}^{\widetilde{\gamma}_{i+1}(t_0)} f(t, \widetilde{y}(\tau_1(t)) + \Delta y(\tau_1(t)), \ldots, \widetilde{y}(\tau_i(t)) + \Delta y(\tau_i(t)),$$

$$\varphi(\tau_{i+1}(t)), \ldots, \varphi(\tau_s(t)), u(\theta_1(t)), \ldots, u(\theta_\nu(t)))dt = \sum_{i=0}^{p} I_i, \tag{1.3.13}$$

სადაც $\widetilde{\gamma}_0(t) = t$, $\widetilde{\gamma}_i(t) = \gamma_i(t)$, $i = 1,\ldots p$, $\widetilde{\gamma}_{p+1}(t) = \widetilde{t}_0$,

(იხ. *თეორემა 1.2.1*-ის 1.2.2) პირობა და (1.3.5)).

შევნიშნოთ, რომ

$$\gamma_1(t_0) - t_0 = \int_{\widetilde{t}_0}^{t_0} (\dot{\gamma}_1(t) - 1)dt = \varepsilon(\dot{\gamma}_1^- - 1)\delta t_0 + o(\varepsilon\delta\mu),$$

(იხ. *თეორემა 1.2.1*-ის 1.2.2) პირობა).

ამრიგად

$$I_0 = \varepsilon(\dot{\gamma}_1^- - 1) f_0^- \delta t_0 + o(\varepsilon\delta\mu) + \alpha(\varepsilon\delta\mu),$$

სადაც

$$\alpha(\varepsilon\delta\mu) = \int_{t_0}^{\gamma_1(t_0)} [f(t, \varphi(\tau_1(t)), ..., \varphi(\tau_s(t)), u(\theta_1(t)), ..., u(\theta_\nu(t))) - f_0^-]dt.$$

1.2.3) პირობიდან გამომდინარეობს, რომ

$$\lim_{\varepsilon \to 0} \sup_{t \in [t_0, \gamma_1(t_0)]} | f(t, \varphi(\tau_1(t)), ..., \varphi(\tau_s(t)), u(\theta_1(t)), ..., u(\theta_\nu(t))) - f_0^- | = \lim_{\varpi \to \varpi_{00}} | \widetilde{f}[\varpi] - f_0^- | = 0,$$

$$\varpi \in (\widetilde{t}_0 - \delta, \widetilde{t}_0] \times O^s.$$

მაშასადამე $\alpha(\varepsilon\delta\mu) = o(\varepsilon\delta\mu)$. ამ უკანასკნელის გათვალისწინებით გვექნება

$$I_0 = \varepsilon(\dot{\gamma}_1^- - 1) f_0^- \delta t_0 + o(\varepsilon\delta\mu) \tag{1.3 14}$$

ანალოგიური გზით შეიძლება დამტკიცებული იქნას შემდეგი ტოლობები

$$I_i = \varepsilon(\dot{\gamma}_{i+1}^- - \dot{\gamma}_i^-) f_i^- \delta t_0 + o(\varepsilon\delta\mu), \quad i = 1, ...p - 1, \quad I_p = -\varepsilon\dot{\gamma}_p^- f_p^- \delta t_0 + o(\varepsilon\delta\mu). \tag{1.3.15}$$

(1 3.11)-დან, (1 3.12) - (1.3.15) გათვალისწინებით, მიიღება დასამტკიცებელი ტოლობა (1.3.4).

ახლა დავამტკიცოთ (1.3.3) უტოლობა. ამისათვის პირველ რიგში შევაფასოდ $W_{1_j}(\varepsilon\delta\mu)$, $j = 1, ..., k$. ცხადია რომ

$$W_{1_j}(\varepsilon\delta\mu) = \int_{\eta_j(\widetilde{t}_0)}^{\eta_j(r_2+\delta_2)} \| A_j(\rho_j(t)) \| |h(t_0, \dot{\varphi}, \dot{y})(t) - h(\widetilde{t}_0, \dot{\varphi}, \dot{y})(t) | \dot{\rho}_j(t) dt,$$

(იხ.(1.3.7) და (1.3.10)).

თუ $t \in [\eta_j(\widetilde{t}_0), t_0] \cup [\widetilde{t}_0, \eta_j(r_2 + \delta_2)]$, მაშინ $h(t_0, \dot{\varphi}, \dot{y})(t) - h(\widetilde{t}_0, \dot{\varphi}, \dot{y})(t) = 0$, (იხ.(1.3.5)).

ამრიგად

$$W_{1_j}(\varepsilon\delta\mu) = \int_{t_0}^{\widetilde{t}_0} \| A_j(\rho_j(t)) \| |\dot{y}(t_0, \widetilde{\mu} + \varepsilon\delta\mu) - \dot{\varphi}(t) | \dot{\rho}_j(t) dt \le \| A_j \| \| \dot{\rho}_i \| \int_{t_0}^{\widetilde{t}_0} | \dot{y}(t; \widetilde{\mu} + \varepsilon\delta\mu) | dt + O(\varepsilon\delta\mu).$$

შევაფასოთ უკანასკნელ გამოსახულებაში შემავალი ინტეგრალი

$$\int_{t_0}^{\widetilde{t}_0}|\,\dot{y}(t;\widetilde{\mu}+\varepsilon\delta\mu)\,|dt \le \int_{t_0}^{\widetilde{t}_0}\Big[\sum_{j=1}^{k}|\,A_j(t)\,||\,\dot{\varphi}(\eta_j(t))\,|+|\,f(t_0,\varphi,\widetilde{y}+\Delta y,u)(t)\,|\Big]dt \le O(\varepsilon\delta\mu),$$

(იხ. (1.3.12) და (1.3.15)).

მაშასადამე

$$W_{1_j}(\varepsilon\delta\mu) \le O(\varepsilon\delta\mu), \quad j=1,\dots,k. \tag{1.3.16}$$

სანამ შევუდგებოდეთ $W_3(t;\varepsilon\delta\mu)$ შეფასებას შევნიშნავთ, რომ თუ $i=p+1,\dots,s$ და $\xi\in[\gamma_i(t_0),\gamma_i]$ მაშინ

$$\lim_{\varepsilon\to 0}(\xi,\widetilde{y}(\tau_1(\xi))+\Delta y(\tau_1(\xi)),\dots,\widetilde{y}(\tau_i(\xi))+\Delta y(\tau_i(\xi)),\varphi(\tau_{i+1}(\xi)),\dots,\varphi(\tau_s(\xi)))=\varpi_{0i},$$

$$\lim_{\varepsilon\to 0}(\xi,\widetilde{y}(\tau_1(\xi)),\dots,\widetilde{y}(\tau_{i-1}(\xi)),\dots,\widetilde{\varphi}(\tau_i(\xi)),\dots,\widetilde{\varphi}(\tau_s(\xi)))=\varpi_{1i},$$

(იხ. (1.3.2))

ამ ტოლობისა და 1.2.3) პირობის ძალით, საკმარისად მცირეა $\varepsilon\in(0,\varepsilon_1]$ ფუნქციები

$$\sup_{t\in[t_0,\widetilde{t}_0]}\dot{\gamma}_i(t), \qquad \sup_{t\in[\gamma_i(t_0),\gamma_i]}|\,W_3(t;\varepsilon\delta\mu)\,|, \quad i=p+1,\dots,s$$

შეოსაზღვრულია $[0,\varepsilon_2]\times V^-$ სიმრავლეზე. მაშასადამე ნებისმიერი $(\varepsilon,\delta\mu)\in[0,\varepsilon_2]\times V^-$ სამართლიანია შეფასებები

$$\int_{\gamma_i(t_0)}^{\gamma_i}|\,W_3(t;\varepsilon\delta\mu)\,|\,dt \le O(\varepsilon\delta\mu), \qquad i=p+1,\dots,s \tag{1.3.17}$$

$W_3(t;\varepsilon\delta\mu)$ და $t\in[\widetilde{t}_0,r_2+\delta_2]$, შეფასებისათვის განვიხილოთ რამდენიმე შემთხვევა.

ვთქვათ $t\in[\widetilde{t}_0,\gamma_{p+1}(t_0)]$, მაშინ თუ გავითვალისწინებთ $h(\cdot)$ ოპერატორის სახეს და (1.1.10) უტოლობას მოვიღებთ

$$W_3(t;\varepsilon\delta\mu)=\int_{\widetilde{t}_0}^{t}|\,f(\xi,\widetilde{y}(\tau_1(\xi))+\Delta y(\tau_1(\xi)),\dots,\widetilde{y}(\tau_p(\xi))+\Delta y(\tau_p(\xi)),\varphi(\tau_{p+1}(\xi)),\dots,$$

$$\varphi(\tau_s(\xi)),u(\theta_1(t)),\dots,u(\theta_\nu(t)))-f(\xi,\widetilde{y}(\tau_1(\xi)),\dots,\widetilde{y}(\tau_p(\xi)),\widetilde{\varphi}(\tau_{p+1}(\xi)),\dots,\widetilde{\varphi}(\tau_s(\xi)),\widetilde{u}(\theta_1(t)),\dots,$$

$$\widetilde{u}(\theta_\nu(t)))\,|\,d\xi \le \int_{\widetilde{t}_0}^{t}L_{K_1,N_1}(\xi)\Big[\sum_{i=1}^{p}|\,\Delta y(\tau_i(\xi))\,|+\varepsilon\sum_{i=p+1}^{s}|\,\delta\varphi(\tau_i(\xi))\,|+\varepsilon\sum_{i=1}^{\nu}|\,\delta u(\theta_i(\xi))\,|\Big]d\xi \le O(\varepsilon\delta\mu)+$$

$$+\int_{\tilde{t}_0}^{t} L(\xi)\,|\,\Delta y(\xi)\,|\,d\xi, \tag{1.3.18}$$

(იხ. *ლემა 1.1.1*),

სადაც

$$L(\xi)=\sum_{i=1}^{s}\chi_J(\gamma_i(\xi))L_{K_1,N_1}(\gamma_i(\xi))\dot{\gamma}_i(\xi), \tag{1.3.19}$$

$\chi_J(\xi)$ არის J ინტერვალის მახასიათებელი ფუნქცია. თუ $\gamma_i(\xi)>b$ მაშინ იგულისხმება, რომ $L(\xi)=0$.

თუ $t\in[\gamma_{p+1}(t_0),\gamma_{p+1}]$, მაშინ (1.3.17) და (1.3.18) თანახმად

$$W\,(t;\varepsilon\delta\mu)\le W_3(\gamma_{p+1}(t_0),\varepsilon\delta\mu)+\int_{\gamma_{p+1}(t_0)}^{\gamma_{p+1}}|\,W_2(\xi;\varepsilon\delta\mu)\,|\,d\xi\le O(\varepsilon\delta\mu)+\int_{\tilde{t}_0}^{t}L(\xi)\,|\,\Delta y(\xi)\,|\,d\xi.$$

ამრიგად (1.3.18) შეფასება სამართლიანია მთელ ინტერვალზე $[\tilde{t}_0,\gamma_{p+1}]$.

ვთქვათ $t\in[\gamma_{p+1},\gamma_{p+2}(t_0)]$, მაშინ

$$W_3(t;\varepsilon\delta\mu)\le W_3(\gamma_{p+1};\varepsilon\delta\mu)+\int_{\gamma_{p+1}}^{\gamma_{p+2}(t_0)}L_{K_1,N_1}(\xi)\Big[\sum_{i=1}^{p+1}|\,\Delta y(\tau_i(\xi))\,|+\varepsilon\sum_{i=p+2}^{s}|\,\delta\varphi(\tau_i(\xi))\,|+$$

$$+\varepsilon\sum_{i=1}^{v}|\,\delta u(\theta_i(\xi))\,|\Big]d\xi\le W_3(\gamma_{p+1};\varepsilon\delta\mu)+O(\varepsilon\delta\mu)+\sum_{i=1}^{p+1}\int_{\tau_i(\gamma_{p+1})}^{\tau_i(t)}L_{K_1,N_1}(\gamma_i(\xi))\dot{\gamma}_i(\xi)\,|\,\Delta y(\xi)\,|\,d\xi.$$

რადგანაც $\tau_i(\gamma_{p+1})\ge\tilde{t}_0$, $\tau_i(t)\le t$, $i=1,\dots,p+1$, ამიტომ მიღებული უტოლობა შეიძლება ასე ჩავწეროთ

$$W_3(t;\varepsilon\delta\mu)\le O(\varepsilon\delta\mu)+W_3(\gamma_{p+1};\varepsilon\delta\mu)+\int_{\tilde{t}_0}^{t}L(\xi)\,|\,\Delta y(\xi)\,|\,d\xi.$$

ამრიგად, როცა $t\in[\tilde{t}_0,\gamma_{p+2}(t_0)]$ სამართლიანია შეფასება

$$W_3(t;\varepsilon\delta\mu)\le O(\varepsilon\delta\mu)+2\int_{\tilde{t}_0}^{t}L(\xi)\,|\,\Delta y(\xi)\,|\,d\xi.$$

ანალოგიური მსჯელობით და (1.3.17) უტოლობის გამოყენებით შეიძლება დამტკიცდეს ბოლო უტოლობის სამართლიანობა მთელ $[\tilde{t}_0,\gamma_{p+2}]$ ინტერვალზე. თუ ამ პროცესს გავაგრძელებთ მივიღებთ, რომ

$$W_3(t;\varepsilon\delta\mu)\le O(\varepsilon\delta\mu)+(i+1)\int_{\widetilde{t}_0}^{t}L(\xi)\,|\,\Delta y(\xi)\,|\,d\xi,\quad t\in[\widetilde{t}_0,\gamma_{p+i+1}],\quad i=2,\dots,s-p-1.$$

ვთქვათ $t\in[\gamma_s,r_2+\delta_2]$, მაშინ

$$W_3(t;\varepsilon\delta\mu)\le W_3(\gamma_s;\varepsilon\delta\mu)+\int_{\gamma_s}^{t}L_{K_1,N_1}(\xi)\Big[\sum_{i=1}^{s}|\,\Delta y(\tau_i(\xi))\,|+\varepsilon\sum_{i=1}^{\nu}|\,\delta u(\theta_i(\xi))\,|\Big]d\xi\le O(\varepsilon\delta\mu)+$$

$$+W_3(\gamma_s;\varepsilon\delta\mu)+\sum_{i=1}^{s}\int_{\tau_i(\gamma_s)}^{\tau_i(t)}L_{K_1,N_1}(\gamma_i(\xi))\dot{\gamma}_i(\xi)\,|\,\Delta y(\xi)\,|\,d\xi.$$

რადგანაც $\tau_i(\gamma_s)\ge\widetilde{t}_0$, $i=1,\dots,s$, ამიტომ

$$W_3(t;\varepsilon\delta\mu)\le O(\varepsilon\delta\mu)+W_3(\gamma_s;\varepsilon\delta\mu)+\int_{\widetilde{t}_0}^{t}L(\xi)\,|\,\Delta y(\xi)\,|\,d\xi\le O(\varepsilon\delta\mu)+(s-p+1)\int_{\widetilde{t}_0}^{t}L(\xi)\,|\,\Delta y(\xi)\,|\,d\xi,$$

$$t\in[\widetilde{t}_0,r_2+\delta_2].\qquad(1.3.20)$$

(1.3.10) უტოლობიდან, (1.3.4), (1.3.16), (1.3.20) გათვალისწინებით, მიიღება

$$|\,\Delta y(t)\,|\le O(\varepsilon\delta\mu)+(s-p+1)\int_{\widetilde{t}_0}^{t}L(\xi)\,|\,\Delta y(\xi)\,|\,d\xi,$$

აქედან გრონუოლის ლემის თანახმად გამომდინარეობს (1.3.3) უტოლობის სამართლიანობა ■

ლ ე მ ა 1.3.2. ვთქვათ $\gamma_i=\widetilde{t}_0$, $i=1,\dots,p$, $\gamma_{p+1}<\dots<\gamma_s\le r_2$, $\rho_j\le r_2$ და ვთქვათ გარდა ამისა, შესრულებულია *თეორემა 1.2.2*-ის 1.2.4) და 1.2.5) პირობები. მაშინ არსებობს ისეთი რიცხვები $\varepsilon_2>0$ და $\delta_2>0$, რომ ნებისმიერი $(\varepsilon,\delta\mu)\in[0,\varepsilon_2]\times V^+$ შესრულებულია უტოლობა

$$\max_{t\in[t_0,r_2+\delta_2]}|\,\Delta y(t)\,|\le O(\varepsilon\delta\mu),\qquad(1.3.21)$$

მასთან,

$$\Delta y(t_0)=\varepsilon\Big\{\delta x_0-\Big[\sum_{j=1}^{k}A_j(\widetilde{t}_0)\dot{\widetilde{\varphi}}(\eta_j(\widetilde{t}_0))+f_p^+\Big]\delta t_0\Big\}+o(\varepsilon\delta\mu).\qquad(1.3.22)$$

დამტკიცება. ვთქვათ $\varepsilon_2\in(0,\varepsilon_1]$ და $\delta_2\in(0,\delta_1]$ იმდენად მცირეა, რომ ყოველი $(\varepsilon,\delta\mu)\in$ $\in[0,\varepsilon_2]\times V^+$ შესრულებულია თანაფარდობანი:

$$\begin{cases} t_0 \in [\widetilde{t}_0, \widetilde{t}_0 + \delta_2), \gamma_p(t_0) < \gamma_{p+1} < \gamma_{p+1}(t_0) < \gamma_{p+2} < \ldots < \gamma_s < \gamma_s(t_0) < r_2 + \delta_2, \\ \eta_j(t_0) < \widetilde{t}_0, t_0 < \eta_j(r_2 + \delta_2), j = 1, \ldots, k. \end{cases} \tag{1.3.23}$$

$\Delta y(t)$ ფუნქცია $[t_0, r_2 + \delta_2]$ ინტერვალზე აკმაყოფილებს განტოლებას

$$\dot{\Delta} y(t) = \sum_{j=1}^{k} A_j(t) h(t_0, \varepsilon\dot{\delta\varphi}, \dot{\Delta} y)(\eta_j(t)) + \sum_{i=2}^{3} W_i(t;\varepsilon\delta\mu), \tag{1.3.24}$$

სადაც

$$W_3(t;\varepsilon\delta\mu) = \sum_{j=1}^{k} A_j(t)[h(t_0, \dot{\widetilde{\varphi}}, \dot{\widetilde{y}})(\eta_j(t)) - h(\widetilde{t}_0, \dot{\widetilde{\varphi}}, \dot{\widetilde{y}})(\eta_j(t))] = \sum_{j=1}^{k} W_{3j}(t;\varepsilon\delta\mu),$$

$W_2(t;\varepsilon\delta\mu)$-ს შესახებ იხ. (1.3.7)

(1.3.24) განტოლება $[t_0, r_2 + \delta_2]$ ინტერვალზე შეიძლება განხილული იქნას როგორც წრფივი ნეიტრალური ტიპის განტოლება

$$\dot{z}(t) = \sum_{j=1}^{k} A_j(t) \dot{z}(\eta_j(t)) + \sum_{i=2}^{3} W_i(t;\varepsilon\delta\mu)$$

საწყისი პირობით

$$\dot{z}(t) = \varepsilon\dot{\delta\varphi}(t), \quad t \in [\tau, t_0), \quad z(t_0) = \Delta x(t_0). \tag{1.3.25}$$

ერთადერთობის გამო $z(t) = \Delta y(t), \quad t \in [t_0, r_2 + \delta_2]$. კოშის ფორმულის თანახმად (1.3.25) განტოლების ამონახსნი შეიძლება წარმოდგენილი იქნას ასე

$$\Delta y(t) = \Delta y(t_0) + \varepsilon \sum_{j=1}^{k} \int_{\eta_j(t_0)}^{t_0} Y(\rho_j(\xi);t) A_j(\rho_j(\xi)) \dot{\rho}_j(\xi) \dot{\delta\varphi}(\xi) d\xi + \int_{t_0}^{t} Y(\xi;t) \sum_{i=2}^{3} W_i(\xi;\varepsilon\delta\mu) d\xi.$$

აქედან მიიღება

$$|\Delta y(t)| \le |\Delta y(t_0)| + \varepsilon c \|Y\| \sum_{j=1}^{k} \|A_j\| (\rho_i(t_0) - t_0)\dot{\rho}_j + \|Y\| \left\{ \sum_{j=1}^{k} \int_{t_0}^{r_2+\delta_2} |W_{3j}(\xi;\varepsilon\delta\mu)| d\xi + \right.$$

$$\left. + \int_{t_0}^{t} |W_2(\xi;\varepsilon\delta\mu)| d\xi \right\} = |\Delta y(t_0)| + O(\varepsilon\delta\mu) + \|Y\| \left\{ \sum_{j=1}^{k} W_{3j}(\varepsilon\delta\mu) + W_3(t;t_0,\varepsilon\delta\mu) \right\} \tag{1.3.26}$$

დავამტკიცოდ ფორმულა (1.3.22). გვაქვს

$$\Delta y(t_0) = y(t_0; \widetilde{\mu} + \varepsilon\delta\mu) - \widetilde{y}(t_0) = \widetilde{x}_0 + \varepsilon\delta x_0 - \left\{ \widetilde{x}_0 + \int_{\widetilde{t}_0} [\sum_{j=1}^{k} A_j(t) \dot{\widetilde{\varphi}}(\eta_j(t)) + f(t, \widetilde{y}(\tau_1(t)), \ldots, \right.$$

$$\widetilde{y}(\tau_p(t)),\widetilde{\varphi}(\tau_{p+1}(t)),...,\widetilde{\varphi}(\tau_s(t)),\widetilde{u}(\theta_1(t)),...,\widetilde{u}(\theta_\nu(t))\big]dt\Big\} = \varepsilon\Big\{\delta x_0 - \big[\sum_{j=1}^{k} A_j(\widetilde{t}_0)\dot{\widetilde{\varphi}}(\eta_j((\widetilde{t}_0)) +$$

$$+ f_p^+\big]dt_0\Big\} + o(\varepsilon\delta\mu).$$

ახლა დავამტკიცოდ (1.3.21) უტოლობა. ამისათვის შევაფასოთ $W_{3j}(\varepsilon\delta\mu)$, $j = 1,...,k$.

ცხადია რომ

$$W_{3j}(\varepsilon\delta\mu) = \int_{\eta_j(t_0)}^{\eta_j(r_2+\delta_2)} | A_j(\rho_j(\xi)) \| h(t_0,\dot{\widetilde{\varphi}},\dot{\widetilde{y}})(\xi) - h(\widetilde{t},\dot{\widetilde{\varphi}},\dot{\widetilde{y}})(\xi) | \dot{\rho}_j(\xi)d\xi \le \int_{\widetilde{t}_0}^{t} | A_j(\rho_j(t)) \| \dot{\widetilde{\varphi}}(\xi) -$$

$$- \dot{\widetilde{y}}(\xi) | \dot{\rho}_j(\xi)d\xi \le \| A_j \| \dot{\rho}_j \int_{\widetilde{t}_0}^{\widetilde{t}} | \dot{\widetilde{y}}(\xi) | d\xi + O(\varepsilon\delta\mu).$$

შევაფასოდ უკანასკნელ გამოსახულებაში შემავალი ინტეგრალი,

$$\int_{\widetilde{t}_0}^{t} | \dot{\widetilde{y}}(t) | dt \le \int_{\widetilde{t}_0}^{t} \Big[\sum_{j=1}^{k} | A_j(t) \| \dot{\widetilde{\varphi}}(\eta_j(t)) | + | f(\widetilde{t}_0,\widetilde{\varphi},\widetilde{y},\widetilde{u})(t) |\Big]dt \le O(\varepsilon\delta\mu).$$

მაშასადამე

$$W_{3j}(\varepsilon\delta\mu) \le O(\varepsilon\delta\mu), \quad j = 1,...,k. \tag{1.3.27}$$

სანამ შევუდგებოდეთ $W_3(t;t_0,\varepsilon\delta\mu)$ გამოსახულების შეფასებას შევნიშნავთ, რომ საკმარი სად მცირე $\varepsilon_2 \in (0,\varepsilon_1]$ ფუნქციები

$$\sup_{t\in[\widetilde{t}_0,t_0]} \dot{\gamma}(t), \quad i = 1,...,s; \qquad \sup_{t\in[\gamma_{i-1}(t_0),\gamma_i(t_0)]} | W_2(t;\varepsilon\delta\mu) |, \quad i = 1,...,p, \quad \gamma_0(t_0) = t_0;$$

$$\sup_{t\in[\gamma_i,\gamma_i(t_0)]} | W_2(t;\varepsilon\delta\mu) |, \quad i = p+1,...,s,$$

შემოსაზღვრულია $[0,\varepsilon_2]\times V^+$ სიმრავლეზე.

ცხადია, რომ $i = 1,...,p$,

$$| \gamma_i(t_0) - \gamma_{i-1}(t) | \le \int_{\widetilde{t}_0}^{t_0} | \dot{\gamma}_i(t) - \dot{\gamma}_{i-1}(t) | dt \le O(\varepsilon\delta\mu).$$

ამრიგად ნებისმიერი $(\varepsilon,\delta\mu) \in [0,\varepsilon_2]\times V^+$ სამართლიანია შეფასებები

$$\int_{\gamma_{i-1}}^{\gamma_i(t_0)} | W_2(\xi;\varepsilon\delta\mu) | d\xi \le O(\varepsilon\delta\mu), \quad i = 1,...,p, \qquad \int_{\gamma_i}^{\gamma_i(t_0)} | W_2(\xi;\varepsilon\delta\mu) | d\xi \le O(\varepsilon\delta\mu), \quad i = p+1,...,s, \tag{1.3.28}$$

$W_3(t;t_0,\varepsilon\delta\mu),\ \ t\in[t_0,r_2+\delta_2]$, შეფასებისათვის განვიხილოდ რამდენიმე შემთხვევა,

ვთქვათ $t\in[t_0,\gamma_p(t_0)]$, მაშინ

$$W_3(t;t_0,\varepsilon\delta\mu)\le\sum_{i=1}^{p}\int_{\gamma_{i-1}(t_0)}^{\gamma_i(t_0)}|W_2(\xi;\varepsilon\delta\mu)|\,d\xi\le O(\varepsilon\delta\mu), \tag{1.3.29}$$

(იხ. (1.3.28))

ვთქვათ $t\in[\gamma_p(t_0),\gamma_{p+1}]$, მაშინ

$$W_3(t;t_0,\varepsilon\delta\mu)\le W_3(\gamma_p(t_0);t_0,\varepsilon\delta\mu)+\int_{\gamma_p(t_0)}^{t}L_{K_1,N_1}(\xi)\Big[\sum_{i=1}^{p}|\Delta y(\tau_i(\xi))|+\varepsilon\sum_{i=p+1}^{s}|\delta\varphi(\tau_i(\xi))|+$$

$$+\varepsilon\sum_{i=1}^{\nu}|\delta u(\theta_i(\xi))|\Big]d\xi\le O(\varepsilon\delta\mu)+\sum_{i=1}^{p}\int_{\tau_i(\gamma_p(t_0))}^{\tau_i(t)}L_{K_1,N_1}(\gamma_i(\xi))\dot{\gamma}_i(\xi)\,|\Delta y(\xi)|\,d\xi.$$

რადგანაც $\tau_i(\gamma_p(t_0))>\tau_i(\gamma_i(t_0))=t_0,\ \ \tau_i(t)\le t,\ \ i=1,\ldots,p.$ ამიტომ

$$W_3(t;t_0,\varepsilon\delta\mu)\le O(\varepsilon\delta\mu)+\int_{t_0}^{t}L(\xi)\,|\Delta y(\xi)|\,d\xi,\qquad t\in[t_0,\gamma_{p+1}],$$

(იხ. (1.3.19), (1.3.29))

ამის შემდეგ, (1.3.26) და (1.3.22) გათვალისწინებით, ანალოგიური ხერხით (იხ. *ლემა 1.3.1* დამტკიცება) მიიღება

$$|\Delta y(t)|\le O(\varepsilon\delta\mu)+(s-p+1)\int_{t_0}^{t}L(\xi)\,|\Delta y(\xi)|\,d\xi,\qquad t\in[t_0,r_2+\delta_2].$$

აქედან გრონუოლის ლემის თანახმად გამომდინარეობს (1.3.21) ■

§1.4. *თეორემა 1.2.1 დამტკიცება*

ვთქვათ *ლემა 1.3.1-ში* $r_1=\widetilde{t}_0,\ \ r_2=\widetilde{t}_1$. მაშინ *ლემა 1.1.1* და 1.1.2) თანახმად არსებობს ისე თი რიცხვები $\varepsilon_1>0$, და $\delta_1>0$, რომ ყოველი $(\varepsilon,\delta\mu)\in[0,\varepsilon_1]\times V^-$ ამონახსნი $y(t;\widetilde{\mu}+\varepsilon\delta\mu)$ გან საზღვრულია $[\tau,\widetilde{t}_1+\delta_1]$-ზე. მასთან

$$x(t;\widetilde{\mu}+\varepsilon\delta\mu)=y(t;\widetilde{\mu}+\varepsilon\delta\mu),\quad t\in[t_0,\widetilde{t}_1+\delta_1],$$

(იხ. (1.1.8)).

ამრიგად

$$\Delta x(t)=\Delta x(t;\varepsilon\delta\mu)=\begin{cases}\varepsilon\delta\varphi(t), t\in[\tau,t_0),\\ y(t;\widetilde{\mu}+\varepsilon\delta\mu)-\widetilde{\varphi}(t), t\in[t_0,\widetilde{t}_0),\\ \Delta y(t), t\in[\widetilde{t}_0,\widetilde{t}_1+\delta_1],\end{cases} \tag{1.4.1}$$

(იხ. (1.2.1) (1.3.1)).

ლემა 1.3.1 თანახმად არსებობს ისეთი რიცხვები $\varepsilon_2\in(0,\varepsilon_1]$ და $\delta_2\in(0,\min(\delta_1,\widetilde{t}_1-\gamma_s))$, რომ

$$|\Delta x(t)|\le O(\varepsilon\delta\mu),\quad \forall(t;\varepsilon,\delta\mu)\in[\widetilde{t}_0,\widetilde{t}_1+\delta_2]\times[0,\varepsilon_2]\times V^-$$

$$\Delta x(\widetilde{t}_0)=\varepsilon\left\{\delta x_0-\Big[\sum_{j=1}^{k}A_j(\widetilde{t}_0)\dot{\widetilde{\varphi}}(\eta_j(\widetilde{t}_0))-\sum_{i=0}^{p}(\hat{\gamma}_{i+1}^{-}-\hat{\gamma}_i^{-})f_i^{-}\Big]\delta t_0\right\}+o(\varepsilon\delta\mu), \tag{1.4.2}$$

(იხ. (1 4.1) (1.3.3) და (1.3.4)).

$\Delta x(t)$ ფუნქცია $[\widetilde{t}_0,\widetilde{t}_1+\delta_2]$ ინტერვალზე აკმაყოფილებს განტოლებას

$$\dot{\Delta x}(t)=\sum_{j=1}^{k}A_j(t)\dot{\Delta x}(\eta_j(t))+\sum_{i=1}^{s}\widetilde{f}_{x_i}[t]\Delta x(\tau_i(t))+\varepsilon\sum_{i=1}^{\nu}\widetilde{f}_{u_i}[t]\delta u(\theta_i(t))+R(t;\varepsilon\delta\mu), \tag{1.4.3}$$

სადაც

$$R(t;\varepsilon\delta\mu)=f(t,\widetilde{x}(\tau_1(t))+\Delta x(\tau_1(t)),\ldots,\widetilde{x}(\tau_s(t))+\Delta x(\tau_s(t)),\widetilde{u}(\theta_1(t))+\varepsilon\delta u(\theta_1(t)),\ldots$$

$$\ldots,\widetilde{u}(\theta_\nu(t))+\varepsilon\delta u(\theta_\nu(t)))-\widetilde{f}[t]-\sum_{i=1}^{s}\widetilde{f}_{x_i}[t]\Delta x(\tau_i(t))-\varepsilon\sum_{i=1}^{\nu}\widetilde{f}_{u_i}[t]\delta u(\theta_i(t)) \tag{1.4.4}$$

კოშის ფორმულის ძალით, (1.4.3) განტოლების ამონახსნი $[\widetilde{t}_0,\widetilde{t}_1+\delta_2]$ ინტერვალზე შეიძლ ება წარმოდგენილი იქნას შემდეგი ფორმულით

$$\Delta x(t)=\Phi(\widetilde{t}_0;t)\Delta x(\widetilde{t}_0)+\varepsilon\int_{\widetilde{t}_0}^{t}Y(\xi;t)\sum_{i=1}^{\nu}f_{u_i}[\xi]\delta u(\theta_i(\xi))d\xi+\sum_{i=-1}^{1}h_i(t;\widetilde{t}_0,\varepsilon\delta\mu), \tag{1.4.5}$$

სადაც

$$\begin{cases} h_{-1}(t;\widetilde{t}_0,\varepsilon\delta\mu) = \sum\limits_{j=1}^{k} \int\limits_{\eta_j(\widetilde{t}_0)}^{\widetilde{t}_0} Y(\rho_j(\xi);t)A_j(\rho_j(\xi))\dot{\Delta x}(\xi)\dot{\rho}_j(\xi)d\xi, \\ h_0(t;\widetilde{t}_0,\varepsilon\delta\mu) = \sum\limits_{i=p+1}^{s} \int\limits_{\tau_i(\widetilde{t}_0)}^{\widetilde{t}_0} Y(\gamma_i(\xi);t)\widetilde{f}_{x_i}[\gamma_i(\xi)]\dot{\gamma}_i(\xi)\Delta x(\xi)d\xi, \\ h_1(t;\widetilde{t}_0,\varepsilon\delta\mu) = \int\limits_{\widetilde{t}_0}^{t} Y(\xi;t)R(\xi;\varepsilon\delta\mu)d\xi; \end{cases} \tag{1.4.6}$$

$\Phi(\xi;t)$, $Y(\xi;t)$ მატრიცული ფუნქციები აკმაყოფილებენ (1.2.4) სისტემას, და (1.1.14) პირობას.

ლემა 1.1.5 და (1.4.2) ფორმულის საფუძველზე გვექნება

$$\Phi(\widetilde{t}_0;t)\Delta x(\widetilde{t}_0) = \varepsilon\Phi(\widetilde{t}_0;t)\left\{\delta x_0 - [\sum_{j=1}^{k} A_j(\widetilde{t}_0)\dot{\widetilde{\varphi}}(\eta_j(\widetilde{t}_0)) - \sum_{i=0}^{p}(\hat{\gamma}_{i+1}^- - \hat{\gamma}_i^-)f_i^-]\delta t_0\right\} + o(t;\varepsilon\delta\mu). \tag{1.4.7}$$

გარდავქმნათ $h_{-1}(t;\widetilde{t}_0,\varepsilon\delta\mu)$ გამოსახულება. გვაქვს

$$\int\limits_{\eta_j(\widetilde{t}_0)}^{\widetilde{t}_0} Y(\rho_j(\xi);t)A_j(\rho_j(\xi))\dot{\rho}_j(\xi)\dot{\Delta x}(\xi)d\xi = \varepsilon \int\limits_{\eta_j(\widetilde{t}_0)}^{t_0} Y(\rho_j(\xi);t)A_j(\rho_j(\xi))\dot{\rho}_j(\xi)\dot{\delta\varphi}(\xi)d\xi +$$

$$+ \int\limits_{t_0}^{\widetilde{t}_0} Y(\rho_j(\xi);t)A_j(\rho_j(\xi))\dot{\rho}_j(\xi)\dot{\Delta x}(\xi)d\xi = \varepsilon \int\limits_{\eta_j(\widetilde{t}_0)}^{\widetilde{t}_0} Y(\rho_j(\xi);t)A_j(\rho_j(\xi))\dot{\rho}_j(\xi)\dot{\delta\varphi}(\xi)d\xi +$$

$$+ \int\limits_{t_0}^{\widetilde{t}_0} Y(\rho_j(\xi);t)A_j(\rho_j(\xi))\dot{\rho}_j(\xi)\dot{\Delta x}(\xi)d\xi + o(t;\varepsilon\delta\mu).$$

შემდეგ

$$\int\limits_{t_0}^{\widetilde{t}_0} Y(\rho_j(\xi);t)A_j(\rho_j(\xi))\dot{\rho}_j(\xi)\dot{\Delta x}(\xi)d\xi = \int\limits_{t_0}^{\widetilde{t}_0} Y(\rho_j(\xi);t)A_j(\rho_j(\xi))[\dot{y}(\xi;\widetilde{\mu}+\varepsilon\delta\mu) - \dot{\widetilde{\varphi}}(\xi)]d\xi =$$

$$= \int\limits_{t_0}^{\widetilde{t}_0} Y(\rho_j(\xi);t)A_j(\rho_j(\xi))\dot{\rho}_j(\xi)[\sum_{\alpha=1}^{k} A_\alpha(\xi)\dot{\varphi}(\eta_\alpha(\xi)) + f(t_0,\varphi,\widetilde{y}+\Delta y,u)(\xi) - \dot{\widetilde{\varphi}}(\xi)]d\xi =$$

$$= -\varepsilon Y(\rho_j -;t)A_j(\rho_j)\dot{\rho}_j(\widetilde{t}_0)[\sum_{\alpha=1}^{k} A_\alpha(\widetilde{t}_0)\dot{\widetilde{\varphi}}(\eta_\alpha(\widetilde{t}_0)) - \dot{\widetilde{\varphi}}(\widetilde{t}_0)]\delta t_0 + o(t;\varepsilon\delta\mu) + h_{-1}^{1,j}(t;\varepsilon\delta\mu),$$

სადაც

$$h_{-1}^{1,j}(t;\varepsilon\delta\mu)=\int_{t_0}^{\widetilde{t}_0}Y(\rho_j(\xi);t)A_j(\rho_j(\xi))\dot{\rho}_j(\xi)f(t_0,\varphi,\widetilde{y}+\Delta y,u)(\xi)d\xi,$$

(იხ. *ლემა 1.1.6*)

ცხადია, რომ

$$h_{-1}^{1,j}(t;\widetilde{t}_0\varepsilon\delta\mu)=\int_{t_0}^{\widetilde{t}_0}Y(\rho_j-;t)A_j(\rho_j)\dot{\rho}_j(\widetilde{t}_0)f(t_0,\varphi,\widetilde{y}+\Delta y,u)(\xi)d\xi+\int_{t_0}^{\widetilde{t}_0}[Y(\rho_j(\xi);t)-$$

$$-Y(\rho_j-;t)]A_j(\rho_j(\xi))\dot{\rho}_j(\xi)f(t_0,\varphi,\widetilde{y}+\Delta y,u)(\xi)d\xi=\varepsilon Y(\rho_j-;t)A_j(\rho_j)\dot{\rho}_j(\widetilde{t}_0)\sum_{i=0}^{p}(\hat{\gamma}_{i+1}^{-}-$$

$$-\hat{\gamma}_i^{-})f_i\delta t_0+o(t;\varepsilon\delta\mu)+h_{-1}^{2,j}(t;\widetilde{t}_0,\varepsilon\delta\mu),$$

(იხ. (1.1.13) (1.3.15)).

ადვილი შესამჩნევია, რომ

$$|h_{-1}^{2,j}(t;\widetilde{t}_0,\varepsilon\delta\mu)|\le\sup_{\xi\in[t_0,\widetilde{t}_0]}|Y(\rho_j(\xi);t)-Y(\rho_j-;t)|\|A_j\|\|\dot{\rho}_j\|\times\int_{t_0}^{\widetilde{t}_0}|f(t_0,\varphi,\widetilde{y}+\Delta y,u)(t)|dt$$

ანალოგიური მსჯელობით, რომელიც ჩატარებული იყო *ლემა 1.3.1*-ის დამტკიცებისას (1.1.13) გამოსახულების მიმართ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ

$$\int_{t_0}^{\widetilde{t}_0}|f(t_0,\varphi,\widetilde{y}+\Delta y,u(t))(t)|dt=O(\varepsilon\delta\mu).$$

ამრიგად $h_{-1}^{2,j}(t;\widetilde{t}_0,\varepsilon\delta\mu)=o(t;\varepsilon\delta\mu)$.

თუ გავითვალისწინებთ ზემოთ მიღებულ გამოსახულებებს $h_{-1}(t;\widetilde{t}_0,\varepsilon\delta\mu)$ გამოსახულებისთვის მივიღებთ

$$h_{-1}(t;\widetilde{t}_0,\varepsilon\delta\mu)=\varepsilon\Big\{\sum_{j=1}^{k}Y(\rho_j-;t)A_j(\rho_j)\dot{\rho}_j(\widetilde{t}_0)\dot{\widetilde{\varphi}}(\eta_j(\widetilde{t}_0))[\dot{\widetilde{\varphi}}(\widetilde{t}_0)-\sum_{\alpha=1}^{k}A_\alpha(\widetilde{t}_0)\dot{\widetilde{\varphi}}(\eta_j(\widetilde{t}_0))+$$

$$+\sum_{i=0}^{p}(\hat{\gamma}_{i+1}^{-}-\hat{\gamma}_i^{-})f_i^{-}]\delta t_0+\sum_{j=1}^{k}\int_{\eta_j(\widetilde{t}_0)}^{\widetilde{t}_0}Y(\rho_j(\xi);t)A_j(\rho_j(\xi))\dot{\rho}_j(\xi)\delta\varphi(\xi)d\xi\Big\}+o(t;\varepsilon\delta\mu)=$$

$$=\varepsilon\Big\{[Y(\widetilde{t}_0-;t)-\Phi(\widetilde{t}_0-;t)][\dot{\widetilde{\varphi}}(\widetilde{t}_0)-\sum_{j=1}^{k}A_j(\widetilde{t}_0)\dot{\widetilde{\varphi}}(\eta_j(\widetilde{t}_0))+\sum_{i=0}^{p}(\hat{\gamma}_{i+1}^{-}-\hat{\gamma}_i^{-})f_i^{-}]\delta t_0+$$

$$+\sum_{j=1}^{k}\int_{\eta_j(\widetilde{t}_0)}^{\widetilde{t}_0} Y(\rho_j(\xi);t)A_j(\rho_j(\xi))\dot{\rho}_j(\xi)\delta\varphi(\xi)d\xi\Big\}+o(t;\varepsilon\delta\mu) \qquad (1.4.8)$$

(იხ.(1.113)).

ახლა გარდავქმნათ $h_0(t;\widetilde{t}_0,\varepsilon\delta\mu)$. გვაქვს

$$h_0(t;\widetilde{t}_0,\varepsilon\delta\mu)=\sum_{i=p+1}^{s}\Big[\varepsilon\int_{\tau_i(t_0)}^{t_0} Y(\gamma_i(\xi);t)\widetilde{f}_{x_i}[\gamma_i(\xi)]\dot{\gamma}_i(\xi)\delta\varphi(\xi)d\xi+$$

$$+\int_{t_0}^{\widetilde{t}_0} Y(\gamma_i(\xi);t)\widetilde{f}_{x_i}[\gamma_i(\xi)]\dot{\gamma}_i(\xi)\Delta x(\xi)d\xi\Big]=\varepsilon\sum_{i=p+1}^{s}\int_{\tau_i(t_0)}^{t_0} Y(\gamma_i(\xi);t)\widetilde{f}_{x_i}[\gamma_i(\xi)]\times\dot{\gamma}_i(\xi)\delta\varphi(\xi)d\xi+$$

$$+\sum_{i=p+1}^{s}\varepsilon\int_{\gamma_i(t_0)}^{\gamma_i} Y(\xi;t)\widetilde{f}_{x_i}[\xi]\Delta x(\tau_i(\xi))d\xi+o(t;\varepsilon\delta\mu), \qquad (1.4.9)$$

(იხ.(1.35)).

ბოლოს გარდავქმნათ $h_1(t;\widetilde{t}_0,\varepsilon\delta\mu)$. როცა $t\in[\widetilde{t}_1-\delta_2,\widetilde{t}_2+\delta_2]$ მაშინ იგი შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგნაირად

$$h_1(t;\widetilde{t}_0,\varepsilon\delta\mu)=\sum_{j=1}^{4}\alpha_j(t;\varepsilon\delta\mu),$$

სადაც

$$\alpha_1(t;\varepsilon\delta\mu)=\int_{\widetilde{t}_0}^{\gamma_{p+1}(t_0)}\omega(\xi;\varepsilon\delta\mu)d\xi,\quad \alpha_2(t;\varepsilon\delta\mu)=\sum_{i=p+1}^{s}\int_{\gamma_i(t_0)}^{\gamma_i}\varpi(\xi;\varepsilon\delta\mu)d\xi,$$

$$\alpha_3(t;\varepsilon\delta\mu)=\sum_{i=p+1}^{s-1}\int_{\gamma_i}^{\gamma_{i+1}(t_0)}\varpi(\xi;\varepsilon\delta\mu)d\xi,\quad \alpha_4(t;\varepsilon\delta\mu)=\int_{\gamma_s}^{t}\omega(\xi;\varepsilon\delta\mu)d\xi,\quad \varpi(\xi;\varepsilon\delta\mu)=Y(\xi;t)R(t;\varepsilon\delta\mu).$$

შევაფასოდ $\alpha_1(t;\varepsilon\delta\mu)$ გვაქვს (იხ.(1.4.4)),

$$|\alpha_1(t;\varepsilon\delta\mu)|\le\|Y\|\int_{\widetilde{t}_0}^{\gamma_{p+1}}|f(t,\widetilde{x}(\tau_1(t))+\Delta x(\tau_1(t)),\ldots\widetilde{x}(\tau_p(t))+\Delta x(\tau_p(t)),\varphi(\tau_{p+1}(t)),\ldots,\varphi(\tau_s(t)),$$

$$u(\theta_1(t)),\ldots,u(\theta_\nu(t)))-f(t,\widetilde{x}(\tau_1(t)),\ldots,\widetilde{x}(\tau_p(t)),\widetilde{\varphi}(\tau_{p+1}(t)),\ldots,\widetilde{\varphi}(\tau_s(t)),\widetilde{u}(\theta_1(t)),\ldots,\widetilde{u}(\theta_\nu(t)))-$$

$$-\sum_{i=1}^{p}\widetilde{f}_{x_i}[t]\Delta x(\tau_i(t))-\varepsilon\sum_{i=p+1}^{s}\widetilde{f}_{x_i}[t]\delta\varphi(\tau_i(t))-\varepsilon\sum_{i=1}^{\nu}\widetilde{f}_{u_i}[t]\delta u(\theta_i(t))\,|\,dt\le$$

$$\leq \| Y \| \int_{\tilde{t}_0}^{\gamma_{p+1}(t_0)} \Big\{ \Big| \int_0^1 \Big[\frac{d}{d\xi} f(t, \tilde{x}(\tau_1(t)) + \xi \Delta x(\tau_1(t)), \ldots, \tilde{x}(\tau_p(t)) + \xi \Delta x(\tau_p(t)), \varphi(\tau_{p+1}(t)) +$$

$$+ \xi \varepsilon \delta\varphi(\tau_{p+1}(t)), \ldots, \tilde{\varphi}(\tau_s(t)) + \varepsilon \xi \delta\varphi(\tau_s(t)), \tilde{u}(\theta_1(t)) + \xi \varepsilon \delta u(\theta_1(t)), \ldots, \tilde{u}(\theta_\nu(t)) + \xi \varepsilon \delta\mu(\theta_\nu(t))) -$$

$$- \sum_{i=1}^{p} \tilde{f}_{x_i}[t] \Delta x(\tau_i(t)) - \varepsilon \sum_{i=p+1}^{s} \tilde{f}_{x_i}[t] \delta\varphi(\tau_i(t)) - \varepsilon \sum_{i=1}^{\nu} \tilde{f}_{u_i}[t] \delta u(\theta_i(t)) \Big] d\xi \Big| \Big\} dt \leq$$

$$\leq \| Y \| \int_{\tilde{t}_0}^{\tilde{t}_1 + \delta_2} \Big\{ \int_0^1 \Big[\sum_{i=1}^{p} | f_{x_i}(t, \tilde{x}(\tau_1(t)) + \xi \Delta x(\tau_1(t)), \ldots) - f_{x_i}[t] | \, | \Delta x(\tau_i(t)) | +$$

$$+ \varepsilon \sum_{i=p+1}^{s} | f_{x_i}(t, \tilde{x}(\tau_1(t)) + \xi \Delta x(\tau_1(t)), \ldots) - \tilde{f}_{x_i}[t] | \, | \delta\varphi(\tau_i(t)) | + \varepsilon \sum_{i=1}^{\nu} | f_{u_i}(t, \tilde{x}(\tau_1(t)) +$$

$$+ \xi \Delta x(\tau_1(t)), \ldots) - \tilde{f}_{u_i}[t] | \, | \delta u(\theta_i(t)) | \Big] d\xi \Big\} dt \leq \| Y \| \, (O(\varepsilon \delta\mu) \sum_{i=1}^{p} \sigma_i(\varepsilon \delta\mu) +$$

$$+ \varepsilon c \sum_{i=p+1}^{s} \sigma_i(\varepsilon \delta\mu) + \varepsilon c \sigma_0(\varepsilon \delta\mu), \tag{1.4.10}$$

სადაც

$$\sigma_i(\varepsilon \delta\mu) = \int_{\tilde{t}_0}^{\tilde{t}_1 + \delta_2} \Big[\int_0^1 | f_{x_i}(t, \tilde{x}(\tau_1(t)) + \xi \Delta x(\tau_1(t)), \ldots) - \tilde{f}_{x_i}[t] | \, d\xi \Big] dt,$$

$$\sigma_0(\varepsilon \delta\mu) = \sum_{i=1}^{\nu} \int_{\tilde{t}_0}^{\tilde{t}_1 + \delta_2} \Big[\int_0^1 | f_{u_i}(t, \tilde{x}(\tau_1(t)) + \xi \Delta x(\tau_1(t)), \ldots) - \tilde{f}_{u_i}[t] | \, d\xi \Big] dt.$$

როცა $\varepsilon \to 0$, მაშინ $\tilde{\varphi}(t) + \varepsilon \xi \delta\varphi(t) \to \tilde{\varphi}(t)$, $\tilde{u}(t) + \varepsilon \xi \delta\varphi(t) \to \tilde{u}(t)$, $\Delta x(\tau_i(t)) \to 0$, $i = 1, \ldots p$ თანაბრად $(\xi, t, \delta\mu) \in [0,1] \times [\tilde{t}_0, \tilde{t}_1 + \delta_2] \times V^-$. ამიტომ ლებეგის თეორემის თანახმად, (იხ. (1.3.19)),

$$\lim_{\varepsilon \to 0} \sigma_i(\varepsilon \delta\mu) = 0, \quad i = 1, \ldots, s, \quad \lim_{\varepsilon \to 0} \sigma_i(\varepsilon \delta\mu) = 0,$$

თანაბრად $\delta\mu \in V^-$.

ამრიგად

$$\alpha_1(t; \varepsilon \delta\mu) = o(t; \varepsilon \delta\mu). \tag{1.4.11}$$

შევნიშნოთ, რომ როცა $t \in [\gamma_i(t_0), \gamma_i]$, $i = p+1, \ldots, s$, მაშინ $| \Delta x(\tau_j(t)) | \leq O(\varepsilon \delta\mu)$, $j = 1, \ldots, i-1$,

$|\Delta x(\tau_j(t))| = \varepsilon\delta\varphi(\tau_j(t)), \quad i = i+1,\dots,s.$

ამიტომ

$$\int_{\gamma_i(t_0)}^{\gamma_i}\omega(\xi;\varepsilon\delta\mu)d\xi = \int_{\gamma_i(t_0)}^{\gamma_i}Y(\xi;t)\beta_i(\xi)d\xi - \int_{\gamma_i(t_0)}^{\gamma_i}Y(\xi;t)\widetilde{f}_{x_i}[\xi]\Delta x(\tau_i(\xi))d\xi + o(t;\varepsilon\delta\mu),$$

სადაც

$$\beta_i(\xi) = f(\xi,\widetilde{x}(\tau_1(\xi)) + \Delta x(\tau_1(\xi)),\dots,\widetilde{x}(\tau_i(\xi)) + \Delta x(\tau_i(\xi)),\varphi(\tau_{i+1}(\xi)),\dots,\varphi(\tau_s(\xi)),$$

$$u(\theta_1(\xi)),\dots,u(\theta_\nu(\xi))) - f(\xi,\widetilde{x}(\tau_1(\xi)),\dots,\widetilde{x}(\tau_{i-1}(\xi)),\widetilde{\varphi}(\tau_i(\xi)),\dots,\widetilde{\varphi}(\tau_s(\xi)),\widetilde{u}(\theta_1(\xi)),\dots,$$

$$\widetilde{u}(\theta_\nu(\xi))), o(t;\varepsilon\delta\mu) = -\sum_{j=1}^{i-1}\int_{\gamma_i(t_0)}^{\gamma_i}Y(\xi;t)\widetilde{f}_{x_i}[\xi]\Delta x(\tau_j(\xi))d\xi - \varepsilon\sum_{j=i+1}^{s}\int_{\gamma_i(t_0)}^{\gamma_i}Y(\xi;t)\widetilde{f}_{x_i}[\xi]\delta\varphi(\tau_j(\xi))d\xi -$$

$$-\varepsilon\int_{\gamma_i(t_0)}^{\gamma_i}\sum_{m=1}^{\nu}\widetilde{f}_{u_m}[\xi]\delta u(\theta_m(\xi))d\xi.$$

ნათელია, რომ

$$\int_{\gamma_i(t_0)}^{\gamma_i} Y(\xi;t)\beta_i(\xi)d\xi = \int_{\gamma_i(t_0)}^{\gamma_i} Y(\xi;t)[\beta_i(\xi) - f_i^-]d\xi + \int_{\gamma_i(t_0)}^{\gamma_i}Y(\xi;t)f_i^- dt = \alpha_5(t;\varepsilon\delta\mu) + \alpha_6(t;\varepsilon\delta\mu)$$

შემდეგ, როცა $\xi \in [\gamma_i(t_0),\gamma_i]$ და $i = p+1,\dots,s,$ მაშინ $\tau_i(\xi) \ge \widetilde{t}_0,$ $j = 1,\dots,i-1,$ როცა $\xi \in$ $\in [\gamma_i(t_0),\gamma_i],$ მაშინ $\tau_i(\xi) \in [t_0,\widetilde{t}_0].$ ამიტომ

$$\widetilde{x}_i(\tau_i(\xi)) + \Delta x(\tau_i(\xi)) = x(\tau_i(\xi);\widetilde{\mu} + \varepsilon\delta\mu) = y(\tau_i(\xi);\widetilde{\mu} + \varepsilon\delta\mu) = \widetilde{y}(\tau_i(\xi)) + \Delta y(\tau_i(\xi)),$$

(იხ. (1.3 1)).

ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ $\widetilde{y}(t)$ ფუნქციის უწყვეტობას $[\widetilde{t}_0 - \delta_2, \widetilde{t}_1 + \delta_2]$ ინტერვალზე, (1.3.2) ტოლობას და $\widetilde{y}(\widetilde{t}_0) = \widetilde{x}_0$ გვექნება

$$\lim_{\varepsilon\to 0}(\widetilde{x}(\tau_i(\xi)) + \Delta x(\tau_i(\xi)) = \lim_{\xi\to\gamma_i}\widetilde{y}(\tau_i(\xi)) = \widetilde{x}_0.$$

თუ მივიღებთ მხედველობაში ზემოთმიღებულ თანაფარდობებს შეიძლება დავასკვნათ, რომ როცა $i = p+1,\dots,s$ და $\xi \in [\gamma_i(t_0),\gamma_i]$ მაშინ

$$\lim_{\varepsilon\to 0}(\xi,\widetilde{x}(\tau_i(\xi)) + \Delta x(\tau_i(\xi)),\dots,\widetilde{x}(\tau_i(\xi)) + \Delta x(\tau_i(\xi)),\varphi(\tau_{i+1}(\xi)),\dots,\varphi(\tau_s(\xi)) = \varpi_{0i}, \quad i = p+1,\dots,s.$$

მეორეს მხრივ

$$\lim_{\varepsilon\to 0}(\xi,\widetilde{x}(\tau_1(\xi)),\dots,\widetilde{x}(\tau_{i-1}(\xi)),\widetilde{\varphi}(\tau_i(\xi)),\dots,\widetilde{\varphi}(\tau_s(\xi)) = \varpi_{1i}, \quad i = p+1,\dots,s.$$

ამრიგად

$$\lim_{\varepsilon\to 0}\ \sup_{\xi\in[\gamma_i(t_0),\gamma_i]} |\beta_i(\xi)-f_i^-|=0, \text{ თანაბრად } \delta\mu\in V^-.$$

$Y(\xi;t)$ ფუნქციის თვისებების და $\gamma_i-\gamma_i(t_0)=-\varepsilon\dot{\gamma}_i^-\delta t_0+o(\varepsilon\delta\mu)$ ტოლობის გათვალის წინებით მივიღებთ, რომ

$$\alpha_5(t;\varepsilon\delta\mu)=o(t;\varepsilon\delta\mu),\quad \alpha_6(t;\varepsilon\delta\mu)=-\varepsilon Y(\gamma_i-;t)f_i^-\dot{\gamma}_i^-\delta t_0+o(t;\varepsilon\delta\mu).$$

მაშასადამე

$$\alpha_2(t;\varepsilon\delta\mu)=-\varepsilon\sum_{i=p+1}^{s}Y(\gamma_i-;t)f_i^-\dot{\gamma}_i^-\delta t_0+o(t;\varepsilon\delta\mu).$$

ანალოგიური მსჯელობით მტკიცდება, რომ $\alpha_i(t;\varepsilon\delta\mu)=o(t;\varepsilon\delta\mu),\quad i=3,4,$ (იხ. (1.4.10)).

ახლა ამოვწეროთ $h_1(t;\widetilde{t}_0,\varepsilon\delta\mu)$ გამოსახულების საბოლოო სახე

$$h_1(t;\widetilde{t}_0,\varepsilon\delta\mu)=-\varepsilon\sum_{i=p+1}^{s}Y(\gamma_i-;t)f_i^-\dot{\gamma}_i^-\delta t_0-\sum_{i=p+1}^{s}\int_{\gamma_i(t_0)}^{\gamma_i}Y(\xi;t)\widetilde{f}_{x_i}[\xi]\Delta x(\tau_j(\xi))d\xi+o(t;\varepsilon\delta\mu). \qquad (1.4.12)$$

(1.4.5), (1.4.7), (1.4.9) და (1.4.12) გათვალისწინებით, მიიღება (1.2.2) ფორმულა, სადაც $\delta x(t;\delta\mu)$ აქვს (1.2.3) სახე ■

§1.5. *თეორემა 1.2.2 დამტკიცება*

ვთქვათ *ლემა 1.3.1*-ში $r_1=\widetilde{t}_0,\quad r_2=\widetilde{t}_2$. მაშინ *ლემა 1.1.1* და *1.1.2* თანახმად არსებობს ისეთი რიცხვები $\varepsilon_1>0$, და $\delta_1>0$, რომ ყოველი $(\varepsilon,\delta\mu)\in[0,\varepsilon_1]\times V^+$ ამონახსნი $y(t;\widetilde{\mu}+\varepsilon\delta\mu)$ განსაზღვრულია $[\widetilde{t}_0-\delta_1,\widetilde{t}_1+\delta_1]$ ინტერვალზე, ხოლო $x(t;\widetilde{\mu}+\varepsilon\delta\mu)$ განსაზღვრულია $[\tau,\widetilde{t}_1+\delta_1]$-ზე. მასთან

$$x(t;\widetilde{\mu}+\varepsilon\delta\mu)=y(t;\widetilde{\mu}+\varepsilon\delta\mu),\qquad t\in[\widetilde{t}_0,\widetilde{t}_1+\delta_1],$$

(იხ. (1 1 8)).

ამრიგად

$$\Delta x(t)=\Delta x(t;\varepsilon\delta\mu)=\begin{cases}\varepsilon\delta\varphi(t), t\in[\tau,\widetilde{t}_0),\\ \varphi(t)-\widetilde{x}(t), t\in[\widetilde{t}_0,t_0),\\ \Delta y(t), t\in[t_0,\widetilde{t}_1+\delta_1).\end{cases} \qquad (1.5.1)$$

ვთქვათ $\delta \in (0,\delta_1]$ და $\varepsilon_2 \in (0,\varepsilon_1]$ რიცხვები, რომელთა არსებობა დამტკიცებულია *ლემა 1.3.2*-ში, იმდენად მცირეა, რომ ყოველი $(\varepsilon,\delta\mu) \in [0,\varepsilon_1] \times V^+$ სრულდება უტოლობა $\gamma_s(t_0) < \widetilde{t}_1 - \delta$; *ლემა 1.3.2* ძალით გვაქვს

$$|\Delta x(t)| \le O(\varepsilon\delta\mu), \quad \forall (t,\varepsilon,\delta\mu) \in [t_0,\widetilde{t}_1+\delta_2] \times [0,\varepsilon_2] \times V^+, \tag{1.5.2}$$

$$\Delta x(t_0) = \varepsilon \left\{ \delta x_0 - \Big[\sum_{j=k}^{k} A_j(\widetilde{t}_0)\dot{\widetilde{\varphi}}(\eta_j(\widetilde{t}_0)) + f_p^+\Big]\delta t_0 \right\} + o(\varepsilon\delta\mu). \tag{1.5.3}$$

(იხ. (1.5.1) (1.3.21) (1.3.22)).

$\Delta x(t)$ ფუნქცია $[t_0,\widetilde{t}_1+\delta_1]$ ინტევალზე აკმაყოფილებს (1.4.3) განტოლებას. კოშის ფორმულის თანახმად იგი შეიძლება წარმოვადგინოთ ასე

$$\Delta x(t) = \Phi(t_0;t)\Delta x(t_0) + \varepsilon \int_{t_0}^{t} Y(\xi;t) \sum_{m=1}^{\nu} \widetilde{f}_{u_m}[\xi]\delta u(\theta_m(\xi))d\xi + \sum_{i=-1}^{1} h_i(t;t_0,\varepsilon\delta\mu), \tag{1.5.4}$$

სადაც

$$h_0(t;t_0,\varepsilon\delta\mu) = \sum_{i=1}^{s} \int_{\tau_i(t_0)}^{t_0} Y(\gamma_i(\xi);t)\widetilde{f}_{x_i}[\gamma_i(\xi)]\dot{\gamma}_i(\xi)\Delta x(\xi)d\xi,$$

ხოლო $h_i(t;t_0,\varepsilon\delta\mu)$, $i=-1,0,1$ შესახებ იხილეთ (1.4.6).

ლემა 1.1.5 და (1.5.3) ფორმულის საფუძველზე გვექნება

$$\Phi(t_0;t)\Delta x(t_0) = \varepsilon\Phi(\widetilde{t}_0;t) \left\{ \delta x_0 - \Big[\sum_{j=1}^{k} A_j(\widetilde{t}_0)\dot{\widetilde{\varphi}}(\eta_j(\widetilde{t}_0)) + f_p^+\Big]\delta t_0 \right\} + o(\varepsilon\delta\mu). \tag{1.5.5}$$

გარდავქმნათ $h_{-1}(t;t_0,\varepsilon\delta\mu)$ გამოსახულება. გვაქვს

$$\int_{\eta_j(t_0)}^{t_0} Y(\rho_j(\xi);t)A_j(\rho_j(\xi))\dot{\rho}_j(\xi)\Delta x(\xi)d\xi = \varepsilon \int_{\eta_j(t_0)}^{\widetilde{t}_0} Y(\rho_j(\xi);t)A_j(\rho_j(\xi))\dot{\rho}_j(\xi)\delta\varphi(\xi)d\xi +$$

$$\int_{\widetilde{t}_0}^{t_0} Y(\rho_j(\xi);t)A_j(\rho_j(\xi))\dot{\rho}_j(\xi)\Delta x(\xi)d\xi = \varepsilon \int_{\eta_j(\widetilde{t}_0)}^{\widetilde{t}_0} Y(\rho_j(\xi);t)A_j(\rho_j(\xi))\dot{\rho}_j(\xi)\delta\varphi(\xi)d\xi +$$

$$+ \int_{\widetilde{t}_0}^{t_0} Y(\rho_j(\xi);t)A_j(\rho_j(\xi))\dot{\rho}_j(\xi)\Delta x(\xi)d\xi + o(t;\varepsilon\delta\mu).$$

შემდეგ

$$\int_{\widetilde{t}_0}^{t_0} Y(\rho_j(\xi);t)A_j(\rho_j(\xi))\dot{\rho}_j(\xi)\dot{\Delta}x(\xi)d\xi = \int_{\widetilde{t}_0}^{t_0} Y(\rho_j(\xi);t)A_j(\rho_j(\xi))(\dot{\varphi}(\xi) - \dot{\widetilde{x}}(\xi)d\xi =$$

$$= \int_{\widetilde{t}_0}^{t_0} Y(\rho_j(\xi);t)A_j(\rho_j(\xi))\dot{\rho}_j(\xi)\Big[\dot{\widetilde{\varphi}}(\xi) - \sum_{\alpha=1}^{k} A_\alpha(\xi)\dot{\widetilde{\varphi}}(\eta_\alpha(\xi)) - \widetilde{f}[\xi]\Big]d\xi + o(t;\varepsilon\delta\mu) =$$

$$= \varepsilon Y(\rho_j+;t)A_j(\rho_j)\dot{\rho}_j(\widetilde{t}_0)\Big[\dot{\widetilde{\varphi}}(\widetilde{t}_0) - \sum_{\alpha=1}^{k} A_\alpha(\widetilde{t}_0)\dot{\widetilde{\varphi}}(\eta_\alpha(\widetilde{t}_0))\Big]\delta t_0 - h_{-1}^{1,j}(t;t_0,\varepsilon\delta\mu) + o(t;\varepsilon\delta\mu),$$

სადაც

$$h_{-1}^{1,j}(t;t_0,\varepsilon\delta\mu) = \int_{\widetilde{t}_0}^{t_0} Y(\rho_j(\xi);t)A_j(\rho_j(\xi))\dot{\rho}_j(\xi)\widetilde{f}[\xi]d\xi.$$

(იხ. *ლემა 1.1.6*).

ცხადია, რომ

$$h_{-1}^{1,j}(t;t_0,\varepsilon\delta\mu) = \int_{\widetilde{t}_0}^{t_0} Y(\rho_j(\xi);t)A_j(\rho_j(\xi))\dot{\rho}_j(\xi)\widetilde{f}[\xi]d\xi + \int_{\widetilde{t}_0}^{t_0} [Y(\rho_j(\xi);t) -$$

$$- Y(\rho_j+;t)]A_j(\rho_j)\dot{\rho}_j(\widetilde{t}_0)\widetilde{f}[\xi]d\xi = \varepsilon Y(\rho_j+;t)A_j(\rho_j)\dot{\rho}_j(\widetilde{t}_0)f_p^+\delta t_0 + o(t;\varepsilon\delta\mu) + h_{-1}^{2,j}(t;t_0,\varepsilon\delta\mu).$$

ადვილი შესამჩნევია, რომ

$$|h_{-1}^{2,j}(t;t_0,\varepsilon\delta\mu)| \le \sup_{\xi\in[\widetilde{t}_0,t_0]} |Y(\rho_j(\xi);t) - Y(\rho_j+;t)| \|A_j\| \|\dot{\rho}_j\| \times \int_{\widetilde{t}_0}^{t_0} |\widetilde{f}[\xi]|d\xi = o(t;\varepsilon\delta\mu).$$

თუ გავითვალისწინებთ ზემოთმიღებულ თანაფარდობებს $h_{-1}(t;t_0,\varepsilon\delta\mu)$ გამოსახულების თვის გვექნება

$$h_{-1}(t;t_0,\varepsilon\delta\mu) = \varepsilon\Bigg\{\sum_{j=1}^{k} Y(\rho_j+;t)A_j(\rho_j)\dot{\rho}_j(\widetilde{t}_0)\Big[\dot{\widetilde{\varphi}}(\widetilde{t}_0) - \sum_{\alpha=1}^{k} A_\alpha(\rho_\alpha)\dot{\widetilde{\varphi}}(\eta_\alpha(\widetilde{t}_0)) - f_p^+\Big]\delta t_0 +$$

$$+ \sum_{j=1}^{k} \int_{\eta_j(\widetilde{t}_0)}^{\widetilde{t}_0} Y(\rho_j(\xi);t) \times A_j(\rho_j(\xi))\dot{\rho}_j(\xi)\delta\dot{\varphi}(\xi)d\xi\Bigg\} + o(t;\varepsilon\delta\mu). \qquad (1.5.6)$$

ახალ გარდავქმნათ $h_0(t;t_0,\varepsilon\delta\mu)$. გვაქვს

$$h_0(t;t_0,\varepsilon\delta\mu) = \sum_{i=1}^{p} \int_{\tau_i(t_0)}^{t_0} Y(\gamma_i(\xi);t)\widetilde{f}_{x_i}[\gamma_i(\xi)]\dot{\gamma}_i(\xi)\Delta x(\xi)d\xi +$$

$$+\sum_{i=p+1}^{s}[\varepsilon\int_{\tau_i(t_0)}^{t_0}Y(\gamma_i(\xi);t)\widetilde{f}_{x_i}[\gamma_i(\xi)]\dot{\gamma}_i(\xi)\delta\varphi(\xi)d\xi+\int_{\widetilde{t}_0}^{t_0}Y(\gamma_i(\xi);t)\widetilde{f}_{x_i}[\gamma_i(\xi)]\dot{\gamma}_i(\xi)\Delta x(\xi)d\xi]=$$

$$=\sum_{i=1}^{p}\int_{t_0}^{\gamma_i(t_0)}Y(\xi;t)\widetilde{f}_{x_i}[\xi]\Delta x(\tau_i(\xi))d\xi+\sum_{i=p+1}^{s}[\varepsilon\int_{\tau_i(t_0)}^{t_0}Y(\gamma_i(\xi);t)\widetilde{f}_{x_i}[\gamma_i(\xi)]\dot{\gamma}_i(\xi)\delta\varphi(\xi)d\xi+$$

$$+\sum_{i=p+1}^{s}[\varepsilon\int_{\gamma_i}^{\gamma_i(t_0)}Y(\xi;t)\widetilde{f}_{x_i}[\xi]\times\Delta x(\tau_i(\xi))d\xi+o(t;\varepsilon\delta\mu). \qquad (1.5.7)$$

ელემენტარული გარდაქმნების შედეგად ადვილად დავრწმუნდებით შემდეგი ტოლობის სამართლიანობაში

$$\sum_{i=1}^{p}\int_{t_0}^{\gamma_i(t_0)}Y(\xi;t)\widetilde{f}_{x_i}[\xi]\Delta x(\tau_i(\xi))d\xi=\sum_{i=1}^{p}\sum_{j=0}^{i-1}\int_{\gamma_j(t_0)}^{\gamma_{j+1}(t_0)}Y(\xi;t)\widetilde{f}_{x_i}[\xi]\Delta x(\tau_i(\xi))d\xi=$$

$$=\sum_{i=0}^{p-1}\sum_{j=i+1}^{p}\int_{\gamma_i(t_0)}^{\gamma_{i+1}(t_0)}Y(\xi;t)\widetilde{f}_{x_j}[\xi]\Delta x(\tau_j(\xi))d\xi,\qquad \gamma_0(t_0)=t_0. \qquad (1.5.8)$$

$h_1(t;t_0,\varepsilon\delta\mu)$ გამოსახულება როცა $t\in[\widetilde{t}_1-\delta_2,\widetilde{t}_1+\delta_2]$, (1.3.23) უტოლობის გათვალის წინებით, შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ

$$h_1(t;t_0,\varepsilon\delta\mu)=\sum_{\alpha=1}^{5}\beta_\alpha(t;\varepsilon\delta\mu), \qquad (1.5.9)$$

სადაც

$$\beta_1(t;\varepsilon\delta\mu)=\sum_{i=0}^{p-1}\int_{\gamma_i(t_0)}^{\gamma_{i+1}(t_0)}\varpi(\xi;\varepsilon\delta\mu)d\xi,\qquad \beta_2(t;\varepsilon\delta\mu)=\int_{\gamma_p(t_0)}^{\gamma_{p+1}}\varpi(\xi;\varepsilon\delta\mu)d\xi,$$

$$\beta_3(t;\varepsilon\delta\mu)=\sum_{i=p+1}^{s}\int_{\gamma_i}^{\gamma_i(t_0)}\varpi(\xi;\varepsilon\delta\mu)d\xi,\qquad \beta_4(t;\varepsilon\delta\mu)=\sum_{i=p+1}^{s-1}\int_{\gamma_i(t_0)}^{\gamma_{i+1}}\varpi(\xi;\varepsilon\delta\mu)d\xi,$$

$$\beta_5(t;\varepsilon\delta\mu)=\int_{\gamma_s(t_0)}^{t}\varpi(\xi;\varepsilon\delta\mu)d\xi,\qquad \omega(\xi;\varepsilon\delta\mu)=Y(\xi;t)R(\xi;\varepsilon\delta\mu).$$

$\beta_1(t;\varepsilon\delta\mu)$ -თვის გვექნება

$$\beta_1(t;\varepsilon\delta\mu)=\sum_{i=0}^{p-1}\int_{\gamma_i(t_0)}^{\gamma_{i+1}(t_0)}Y(\xi;t)[f(\xi,\widetilde{x}(\tau_1(\xi))+\Delta x(\tau_1(\xi)),\ldots,\widetilde{x}(\tau_s(\xi))+\Delta x(\tau_i(\xi)),\varphi(\tau_{i+1}(\xi)),\ldots$$

$$\ldots,\varphi(\tau_s(\xi)),u(\theta_1(\xi)),\ldots,u(\theta_\nu(\xi))-f(\xi,\widetilde{x}(\tau_1(\xi)),\ldots,\widetilde{x}(\tau_p(\xi)),\widetilde{\varphi}(\tau_{p+1}(\xi)),\ldots,$$

$$\widetilde{\varphi}(\tau_s(\xi)),\widetilde{u}(\theta_1(\xi)),...,\widetilde{u}(\theta_\nu(\xi))]d\xi-\sum_{i=0}^{p-1}\int_{\gamma_i(t_0)}^{\gamma_{i+1}(t_0)}Y(\xi;t)\sum_{j=1}^{s}\widetilde{f}_{x_j}[\xi]\Delta x(\tau_j(\xi))d\xi-$$

$$-\varepsilon\sum_{i=0}^{p}\int_{\gamma_i(t_0)}^{\gamma_{i+1}(t_0)}Y(\xi;t)\sum_{m=1}^{\nu}\widetilde{f}_{u_m}[\xi]\delta u(\theta_m(\xi))d\xi=\beta_{11}(t;\varepsilon\delta\mu)-\beta_{12}(t;\varepsilon\delta\mu)-\beta_{13}(t;\varepsilon\delta\mu). \quad (1.5.10)$$

როცა $\xi\in[\gamma_i(t_0),\gamma_{i+1}(t_0)]$, მაშინ $\tau_j(\xi)\geq t_0$, $j=1,...,i$, $\tau_j(\xi)\leq t_0$, $j=i+1,...,p$, $\tau_j(\xi)\leq\widetilde{t}_0$, $j=p+1,...,s$. ამიტომ

$$|\Delta x(\tau_j(\xi))|\leq O(\varepsilon\delta\mu),\quad j=1,...,i,\quad |\Delta x(\tau_j(\xi))|=\varepsilon\,|\delta\varphi(\tau_j(\xi))|,\quad j=p+1,...,s.$$

ყოველი $i=0,...,p-1$, $\gamma_{i+1}(t_0)-\gamma_i(t_0)\to 0$, როცა $\varepsilon\to 0$. მაშასადამე

$$\beta_{12}(t;\varepsilon\delta\mu)=\sum_{i=0}^{p-1}\sum_{j=i+1}^{p}\int_{\gamma_i(t_0)}^{\gamma_{i+1}(t_0)}Y(\xi;t)\widetilde{f}_{x_j}[\xi]\Delta x(\tau_j(\xi))d\xi+o(t;\varepsilon\delta\mu). \quad (1.5.11)$$

შემდეგ

$$\lim_{\varepsilon\to 0}\sup_{\xi\in[\gamma_i(t_0),\gamma_{i+1}(t_0)]}|f(\xi,\widetilde{x}(\tau_1(\xi))+\Delta x(\tau_1(\xi)),...,\widetilde{x}(\tau_i(\xi))+\Delta x(\tau_i(\xi)),\widetilde{\varphi}(\tau_{i+1}(\xi)),...$$

$$\widetilde{\varphi}(\tau_s(\xi)),\widetilde{u}(\theta_1(\xi))+\varepsilon\delta u(\theta_1(\xi)),...,\widetilde{u}(\theta_\nu(\xi))+\varepsilon\delta u(\theta_\nu(\xi))-f_i^++f_p^+-f(\xi,\widetilde{x}(\tau_1(\xi)),...,$$

$\widetilde{x}(\tau_p(t)),\widetilde{\varphi}(\tau_{p+1}(\xi)),...\widetilde{\varphi}(\tau_s(\xi)),\widetilde{u}(\theta_1(\xi)),...,\widetilde{u}(\theta_\nu(\xi))|=0.$ $i=0,...,p-1$, თანაბრად $\delta\mu\in V^+$.

$Y(\xi;t)$ და $\gamma_i(t)$, $i=1,...,p$, ფუნქციათა თვისებებიდან უშუალოდ მიიღება შემდეგი ტოლ ობები

$$\lim_{\varepsilon\to 0}\sup_{\xi\in[\gamma_i(t_0),\gamma_{i+1}(t_0)]}|Y(\xi;t)-Y(\widetilde{t}_0+;t)|=0,\quad i=0,...,p-1,\quad \text{თანაბრად}\ t\in[\widetilde{t}_1-\delta_2,\widetilde{t}_1+\delta_2],$$

$$\gamma_{i+1}(t_0)-\gamma_i(t_0)=\varepsilon(\dot{\gamma}_{i+1}^+-\dot{\gamma}_i^+)\delta t_0+o(\varepsilon\delta\mu),\quad i=0,...,p-1,\quad \dot{\gamma}_0=1.$$

ეს პირობები $\beta_{11}(t;\varepsilon\delta\mu)$ და $\beta_{13}(t;\varepsilon\delta\mu)$ გვაძლევენ

$$\beta_{11}(t;\varepsilon\delta\mu)=\varepsilon Y(\widetilde{t}_0+;t)\sum_{i=0}^{p-1}(f_i^+-f_p^+)(\dot{\gamma}_{i+1}^+-\dot{\gamma}_i^+)\delta t_0+o(t;\varepsilon\delta\mu). \quad (1.5.12)$$

$$\beta_{13}(t;\varepsilon\delta\mu)=o(t;\varepsilon\delta\mu). \quad (1.5.13)$$

(1 5 10) -დან (1.5.11) - (1.5.13) გათვალისწინებით, მივიღებთ

$$\beta_1(t;\varepsilon\delta\mu)=\varepsilon Y(\widetilde{t}_0+;t)[\sum_{i=0}^{p}(\dot{\gamma}_{i+1}^+-\dot{\gamma}_i^+)f_i^++f_p^+]\delta t_0-$$

$$-\sum_{i=0}^{p-1}\sum_{j=i+1}^{p}\int_{\gamma_i(t_0)}^{\gamma_{i+1}(t_0)}Y(\xi;t)\widetilde{f}_{x_i}[\xi]\Delta x(\tau_i(\xi))d\xi+o(t;\varepsilon\delta\mu). \quad (1.5.14)$$

შემდეგ

$$\beta_2(t;\varepsilon\delta\mu)=\int_{\gamma_p(t_0)}^{\gamma_{p+1}}Y(\xi;t)[f(\xi,\widetilde{x}(\tau_1(\xi))+\Delta x(\tau_1(\xi)),...,\widetilde{x}(\tau_p(\xi))+\Delta x(\tau_p(\xi)),\varphi(\tau_{p+1}(\xi)),...$$

$$...,\varphi(\tau_s(\xi)),u(\theta_1(\xi)),...,u(\theta_\nu(\xi)))-f(\xi,\widetilde{x}(\tau_1(\xi)),...,\widetilde{x}(\tau_p(\xi)),\varphi(\tau_{p+1}(\xi)),...,\widetilde{\varphi}(\tau_s(\xi)),$$

$$\widetilde{u}(\theta_1(\xi)),...,\widetilde{u}(\theta_\nu(\xi)))-\sum_{j=1}^{p}\widetilde{f}_{x_j}[\xi]\Delta x(\tau_j(\xi))-\varepsilon\sum_{j=p+1}^{s}\widetilde{f}_{x_j}[\xi]\delta\varphi(\tau_j(\xi))-$$

$$-\varepsilon\sum_{m=1}^{\nu}\widetilde{f}_{u_m}[\xi]\delta u(\theta_m(\xi))]d\xi.$$

სტანდარტული გზით (იხ. (1.4.10)) მტკიცდება, რომ

$$|\beta_2(t;\varepsilon\delta\mu)|\le\|Y\|\left(O(\varepsilon\delta\mu)\sum_{i=1}^{p}\sigma_i(t_0;\varepsilon\delta\mu)+\varepsilon c\sum_{i=p+1}^{s}\sigma_i(t_0;\varepsilon\delta\mu)+\varepsilon c\sigma_0(t_0;\varepsilon\delta\mu)\right),$$

სადაც

$$\sigma_i(t_0;\varepsilon\delta\mu)=\int_{\gamma_p(t_0)}^{\gamma_{p+1}}\Big[\int_0^1|f_{x_i}(t,\widetilde{x}(\tau_1(t))+\xi\Delta x(\tau_1(t)),...)-\widetilde{f}_{x_i}[t]|\,d\xi\Big]dt,$$

$$\sigma_0(t_0;\varepsilon\delta\mu)=\int_{\gamma_p(t_0)}^{\gamma_{p+1}}\sum_{m=1}^{\nu}\Big[\int_0^1|f_{u_m}(t,\widetilde{x}(\tau_1(t))+\xi\Delta x(\tau_1(t)),...)-\widetilde{f}_{u_m}[t]|\,d\xi\Big]dt.$$

როცა $t\in[\gamma_p(t_0),\gamma_{p+1}]$, მაშინ $\tau_j(t)\ge t_0$, $j=1,...,p$. ამიტომ (იხ. (1.5.1)), $\Delta x(\tau_j(t))=$ $=\Delta y(\tau_j(t))$.

მაშასადამე

$$\sigma_i(t_0;\varepsilon\delta\mu)\le\int_{t_0}^{\gamma_{p+1}}\Big[\int_0^1|f_{x_i}(t,\widetilde{x}(\tau_1(t))+\xi\Delta y(\tau_1(t)),...,\widetilde{x}(\tau_p(t))+\xi\Delta y(\tau_p(t)),\widetilde{\varphi}(\tau_{p+1}(t))+$$

$$+\xi\varepsilon\delta\varphi(\tau_{p+1}(\xi)),...,\widetilde{\varphi}(\tau_s(t))+\xi\varepsilon\delta\varphi(\tau_s(t)),\widetilde{u}(\theta_1(t))+\xi\varepsilon\delta u(\theta_1(t)),...,\widetilde{u}(\theta_\nu(t))+\xi\varepsilon\delta u(\theta_\nu(t)))-$$

$$-\widetilde{f}_{x_i}[t]|\,d\xi\Big]dt,$$

$$\sigma_0(t_0;\varepsilon\delta\mu)\le\int_{t_0}^{\gamma_{p+1}}\sum_{m=1}^{v}\Big[\int_0^1|\,f_{u_m}(t,\widetilde{x}(\tau_1(t))+\xi\Delta y(\tau_1(t)),\ldots\widetilde{x}(\tau_p(t))+\xi\Delta y(\tau_p(t)),\widetilde{\varphi}(\tau_{p+1}(t))+$$

$$+\xi\varepsilon\delta\varphi(\tau_{p+1}(\xi)),\ldots,\widetilde{\varphi}(\tau_s(t))+\xi\varepsilon\delta\varphi(\tau_s(t)),\widetilde{u}(\theta_1(t))+\xi\varepsilon\delta u(\theta_1(t)),\ldots,\widetilde{u}(\theta_v(t))+\xi\varepsilon\delta u(\theta_v(t)))-$$

$$-\widetilde{f}_{u_m}[t]\,|\,d\xi\Big]dt.$$

აქედან გამომდინარეობს, რომ

$$\lim_{\varepsilon\to 0}\sigma_i(t_0;\varepsilon\delta\mu)=0,\quad i=1,\ldots,s,\quad \lim_{\varepsilon\to 0}\sigma_0(t_0;\varepsilon\delta\mu)=0,\quad \text{თანაბრად}\quad \delta\mu\in V^+$$

ამრიგად

$$\beta_2(t;\varepsilon\delta\mu)=o(t;\varepsilon\delta\mu). \qquad (1.5.15)$$

ახლა გარდავქმნათ $\beta_3(t;\varepsilon\delta\mu)$, გვექნება

$$\beta_3(t;\varepsilon\delta\mu)=\sum_{i=p+1}^{s}\int_{\gamma_i}^{\gamma_i(t_0)}Y(\xi;t)\big[f(\xi,\widetilde{x}(\tau_1(\xi))+\Delta x(\tau_1(\xi)),\ldots,\widetilde{x}(\tau_{i-1}(\xi))+\Delta x(\tau_{i-1}(\xi)),\widetilde{\varphi}(\tau_i(\xi)),\ldots$$

$$\ldots,\widetilde{\varphi}(\tau_s(\xi)),u(\xi))-\widetilde{f}[\xi]\big]d\xi-\sum_{i=p+1}^{s}\Big[\sum_{j=1}^{i-1}\int_{\gamma_i}^{\gamma_i(t_0)}Y(\xi;t)\widetilde{f}_{x_i}[\xi]\Delta x(\tau_j(\xi))d\xi+$$

$$+\int_{\gamma_i}^{\gamma_i(t_0)}Y(\xi;t)\widetilde{f}_{x_i}[\xi]\Delta x(\tau_i(\xi))d\xi+\varepsilon\sum_{j=i+1}^{s}\int_{\gamma_i}^{\gamma_i(t_0)}Y(\xi;t)\widetilde{f}_{x_i}[\xi]\delta\varphi(\tau_j(\xi))d\xi-\varepsilon\int_{\gamma_i}^{\gamma_i(t_0)}Y(\xi;t)\widetilde{f}_u[\xi]\delta u(\xi)d\xi\Big].$$

თეორემა 1.2.5 საფუძველზე გვექნება

$$\lim_{\varepsilon\to 0}\sup_{\xi\in[\gamma_i,\gamma_i(t_0)]}|\,f(\xi,\widetilde{x}(\tau_1(\xi))+\Delta x(\tau_1(\xi)),\ldots,\widetilde{x}(\tau_{i-1}(\xi))+\Delta x(\tau_{i-1}(\xi)),\varphi(\tau_i(\xi)),\ldots$$

$$\ldots,\varphi(\tau_s(\xi)),u(\theta_1(\xi)),\ldots,u(\theta_v(\xi))-\widetilde{f}[\xi]+f_i^+\,|=0,\quad i=p+1,\ldots,s,\quad \text{თანაბრად}\quad \delta\mu\in V^+.$$

შემდეგ

$$|\,\Delta x(\tau_j(\xi))\,|\le O(\varepsilon\delta\mu),\quad j=1,\ldots,i-1,\qquad \xi\in[\gamma_i,\gamma_i(t_0)],$$

$$\lim_{\varepsilon\to 0}\sup_{\xi\in[\gamma_i,\gamma_i(t_0)]}|\,Y(\xi;t)-Y(\gamma_i;t)\,|=0,\quad i=p+1,\ldots,s,\qquad t\in[\widetilde{t}_1-\delta_2,\widetilde{t}_1+\delta_2].$$

ზემოთმოყვანილ ტოლობათა თანახმად

$$\beta_3(t;\varepsilon\delta\mu)=-\varepsilon\sum_{i=p+1}^{s}Y(\gamma_i+;t)f_i^+\dot{\gamma}_i^+\delta t_0-\sum_{j=p+1}^{s}\int_{\gamma_i}^{\gamma_i(t_0)}Y(\xi;t)\widetilde{f}_{x_j}[\xi]\Delta x(\tau_j(\xi))d\xi+o(t;\varepsilon\delta\mu). \qquad (1.5.16)$$

ანალოგიური მსჯელობით მტკიცდება (იხ. (1.4.10)), რომ

$$\beta_i(t;\varepsilon\delta\mu) = o(t;\varepsilon\delta\mu), \quad i = 4,5. \tag{1.5.17}$$

(1.5.9) -დან (1.5.14) - (1.5.17) გათვალისწინებით, მივიღებთ

$$h_1(t;t_0,\varepsilon\delta\mu) = \varepsilon\Big\{Y(\widetilde{t}_0+;t)\Big[\sum_{i=0}^{p}(\hat{\gamma}_{i+1}^{+}-\hat{\gamma}_i^{+})f_i^{+}+f_p^{+}\Big]-\sum_{i=p+1}^{s}Y(\gamma_i;t)\dot{\gamma}_i^{+}f_i^{+}\Big\}\delta t_0 -$$

$$-\sum_{i=0}^{p-1}\sum_{j=i+1}^{p}\int_{\gamma_i(t_0)}^{\gamma_{i+1}(t_0)}Y(\xi;t)\widetilde{f}_{x_j}[\xi]\Delta x(\tau_j(\xi))d\xi-\sum_{i=p+1}^{s}\int_{\gamma_i}^{\gamma_i(t_0)}Y(\xi;t)\widetilde{f}_{x_i}[\xi]\Delta x(\tau_i(\xi))d\xi+o(t;\varepsilon\delta\mu). \tag{1.5.18}$$

ბოლოს შევნიშნავთ, რომ

$$\varepsilon\int_{t_0}^{t}Y(\xi;t)\widetilde{f}_{u_m}[\xi]\delta u(\theta_m(\xi))d\xi = \varepsilon\int_{\widetilde{t}_0}^{t}Y(\xi;t)\widetilde{f}_{u_m}[\xi]\delta u(\theta_m(\xi))d\xi + o(t;\varepsilon\delta\mu). \tag{1.5.19}$$

(1.5.4) ტოლობიდან, (1.5.5) - (1.5.8) , (1.5.18) და (1.5.19) თანახმად, მიიღება (1.2.2) ფორმულა, სადაც $\delta x(t;\delta\mu)$ აქვს (1.2 5) სახე ■

§1.6. ამონახსნის ვარიაციის ფორმულები განტოლებისათვის უწყვეტი საწყისი პირობით

1.6.1. *ძირითადი თეორემების ფორმულირება.* ყოველ $\sigma = (t_0,\varphi,u) \in B_1 = J\times\Phi\times\Omega$ ელემენტს შევუსაბამოთ დიფერენციალური განტოლება

$$\dot{x}(t) = \sum_{j=1}^{k}A_j(t)\dot{x}(\eta_j(t)) + f(t,x(\tau_1(t)),\ldots,x(\tau_s(t)),u(\theta_1(t)),\ldots,u(\theta_\nu(t))), \tag{1.6.1}$$

უწყვეტი საწყისი პირობით

$$x(t) = \varphi(t), \quad t\in[\tau,t_0]. \tag{1 6.2}$$

განსაზღვრება 1.6.1. $\sigma = (t_0,x,u)\in B_1$ ელემენტის შესაბამისი ამონახსნი $x(t;\sigma)$, $t\in$ $\in[\tau,t_1]$ ეწოდება $x(t;\mu)$, $t\in[\tau;t_1]$, $\mu = (t_0,\varphi(t_0),\varphi,u)$ ამონახსნს (იხ. *განსაზღვრება 1.1.2*).

შემოვიღოთ ვარიაციათა სიმრავლე

